



**იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს
მონიტორინგის ანგარიში**

№8



**საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №8

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის №8 ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იყო გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

E A S T • W E S T
M A N A G E M E N T
I N S T I T U T E

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

კვლევის ხელმძღვანელები: სულხან სალაძე
ვახუშტი მენაბდე

ავტორი: ნინო ნოზაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. კვლევის მეთოდოლოგია	5
II. მიზნები	7
1. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა და წარღობა	13
1.1. გამოსაცდელი ვადით დანიშვნა	14
1.2. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა	16
1.3. სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ, კონკურსის წესით დანიშვნა	17
1.4. სამ წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოსამართლეების უვადოდ გადანიშვნა	18
1.5. კონკურსი ინტერესთა კონფლიქტის პირობებში.....	21
1.6. მოსამართლეთა გადანიშვნა და დაწინაურება	21
1.7. მოსამართლეთა მივლინება	24
1.8. სკოლაში მსმენელთა მიღება (საანგარიშო პერიოდში მოქმედი წესი)	24
1.9. სკოლაში მსმენელთა მიღება („მეოთხე ტალღის“ ცვლილებების შეფასება)	25
1.10. საკვალიფიკაციო გამოცდა	27
1.11. უზენაეს სასამართლოში კანდიდატთა ნომინირება	29
1.12. კონკურსის გამოცხადება	30
1.13. ცენზები	31
1.14. კანდიდატთა რეგისტრაცია	31
1.15. ინტერესთა კონფლიქტი და ლეგიტიმაცია	34
1.16. კენჭისყრები	35
1.16.1. პირველი კენჭისყრა	36
1.16.2. მეორე კენჭისყრა	37
1.16.3. მესამე კენჭისყრა	38
1.16.4. პარლამენტისთვის ვასილ როინიშვილის კანდიდატურის წარდგენა	39
2. ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე მოსამართლეები	42

2.1.	თავმჯდომარეების წევრობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში	42
2.2.	თავმჯდომარის როლი	42
2.3.	სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევა	43
2.4.	სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნა	46
2.5.	კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარის (მოვალეობის შემსრულებლების) დანიშვნა	46
2.6.	საბჭოს როლი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევისას	48
3.	მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა	49
3.1.	დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევა-გათავისუფლება	49
3.2.	დისციპლინური საქმისწარმოება	50
3.3.	ინსპექტორის დასკვნები	51
3.4.	საბჭოს გადაწყვეტილებები	52
3.5.	გამჭვირვალობა დისციპლინური საქმისწარმოებისას	56
4.	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობა	57
4.1.	სხდომების მომზადება	57
4.2.	სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება	59
4.3.	სხდომის დღის წესრიგის ფორმატი	60
4.4.	გადაწყვეტილებების პროექტების გამოქვეყნება	60
4.5.	სხდომის მართვა	60
4.6.	სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება	61
4.7.	სხდომების გადადება და გაშუქება	62
4.8.	სხდომების დახურვა	63
4.9.	გასაუბრებების პროცესის ღიაობა	64
4.10.	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის გაცემა	64
III.	რეკომენდაციები	66
	დანართი №1	69

I. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნები და სუბიექტები

იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში – საბჭო) საერთო სასამართლოების სისტემის კონსტიტუციური ორგანოა.¹ მისი ფუნქციაა სასამართლოების დამოუკიდებლობა-ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მოსამართლეთა დანიშვნა-გათავისუფლება და სხვა ამოცანების შესრულება.² საბჭო, ფაქტობრივად, სრულად მართავს სისტემას. წინამდებარე ანგარიში ამ კონსტიტუციური ორგანოს საქმიანობის ანალიზია. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში – საია) 2012 წლიდანაა ჩართული საბჭოს მონიტორინგის ანგარიშების მომზადებაში, რომლებშიც ყოველწლიურად აფასებს მის საქმიანობას, ავლენს დადებით და უარყოფით ტენდენციებს. ამით ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს ინსტიტუტის ეფექტიანობის გაზრდას, მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტების ამაღლებას.

კვლევის ინსტრუმენტები და წყაროები

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 1-ლ იანვრამდე პერიოდს.

გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- საქართველოში არსებული ნორმატიული ჩარჩო, როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე აქტები;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მიღებული და საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული მასალები;
- საბჭოს სხდომების მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემები.

¹ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

² იქვე.

ნორმატიული ჩარჩო

კვლევის ავტორებმა შეისწავლეს საქართველოში არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც განსაზღვრავს საბჭოს საქმიანობას.

ნორმატიული ჩარჩოს იმპლემენტაცია

გაანალიზდა: საანგარიშო პერიოდში საბჭოს სხდომებსა და სხვადასხვა საჯარო შეხვედრაზე საიას მონიტორების უშუალო დასწრებით მოპოვებული მასალები; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მიღებული და საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები. ანგარიში ასევე იყენებს წარსულში გამოცემულ ანგარიშებსა და კვლევებს, რომლებიც სასამართლო სისტემას აფასებს.

საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება

კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების – ვენეციის კომისიის, ეუთოს, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებულ დოკუმენტებს (გზამკვლევები, ანგარიშები, შეფასებები და სხვა), როგორც ზოგადი ხასიათის, ისე საქართველოს კანონმდებლობის მისამართით გამოთქმულ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. იმავდროულად, ამ დოკუმენტებში მოცემული ხედვები მექანიკურად არ არის გადმოტანილი, არამედ ადაპტირებულია არსებულ კონტექსტთან.

მადლიერების გამოხატვა

კვლევის ავტორები მადლობას უხდებიან პროექტს – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG), რომელიც USAID-ის დაფინანსებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით ხორციელდება და რომლის ფინანსური დახმარებითაც გამოიცა ეს კვლევა, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს მოწოდებული მასალებისთვის. ტექსტის ნორმატიული რეალობის იმპლემენტაციის ნაწილი მნიშვნელოვნად ეყრდნობა სწორედ მისგან მიღებულ ინფორმაციას.

II. მიზნები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში საია, *inter alia*, აკვირდებოდა საკანონმდებლო სიახლეების იმპლემენტაციის პროცესს. მიუხედავად გარკვეული დადებითი ცვლილებებისა, არსებითად ვერ აღმოიფხვრა სასამართლო სისტემაში აქამდე არსებული გამოწვევები. საბოლოოდ, მოქმედ ნორმატიულ ჩარჩოში ნებისმიერი ჩარევა, რომელიც არ დაუპირისპირდება გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს, მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის („კლანი“)³ წისქვილზე ასხამს წყალს, რომელიც როგორც ხარვეზებს, ისე პოზიტიურ სიახლეებს საკუთარი ძალაუფლების გასაძლიერებლად იყენებს.

2019 წელს კანონმდებლობაში შევიდა არსებითი ცვლილებები, რომლებმაც სრულად შეცვალა საბჭოს მიერ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების წარდგენის წესი. პროცედურები გამჭვირვალე გახდა, კანდიდატების შერჩევას კი საფუძვლად შესაბამისი კრიტერიუმები დაედო. ამის მიუხედავად, საბჭოს მიერ წარდგენილი პრეტენდენტები არა დამსახურების, არამედ ლოიალობის ნიშნით შეირჩნენ. ახალმა რეგულაციებმა ხელი ვერ შეუშალა „კლანს“, პარლამენტში დასამტკიცებლად მისთვის მისაღები პერსონები გაეგზავნა. ეს ყველაზე კარგი მაგალითია ზემოთ მოყვანილი თუზისის გასამყარებლად, თუმცა ის ერთადერთი არ არის. მკითხველი ქვემოთ იხილავს საბჭოს მუშაობის შესახებ მონაცემებს, სადაც ასახულია ის გამოწვევები, რომლებიც ხელს უშლის სასამართლო სისტემას დამოუკიდებელ ინსტიტუციად ჩამოყალიბებაში. ამასთან დაკავშირებით წუხილია გამოთქმული სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც. მასში ნათქვამია, რომ, მართალია, კონსტიტუცია და კანონი უზრუნველყოფს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას, არსებობს ინდიკატორები, რომლებიც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევაზე მიუთითებს.⁴ კარგი მაგალითია გასულ წელს მოსამართლეების და-

³ საია „კლანს“ უწოდებს იმ გავლენიანი მოსამართლეების ჯგუფს, რომლებიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძის გარშემო არიან შემოკრებილი და სასამართლოს საკუთარი, პერსონალური ინტერესების შესაბამისად მართავენ. ისინი ფლობენ 2/3-იან უმრავლესობას საბჭოში, აკონტროლებენ სასამართლოს თავმჯდომარეებს და შექმნილი აქვთ პერსონალურ მორჩილებაზე დამყარებული სისტემა. კლანის გავლენა მოსამართლეთა კრიტიკულ უმრავლესობაზე ვრცელდება.

⁴ Georgia 2019 Human Rights Report, US Department of State, Bureau of Democracy, Human Rights, and Labor, გვ. 12, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36hzytp>, განახლებულია: 12.05.2020.

ნიშვნა, რომლებიც მეტწილად არაობიექტური გადაწყვეტილებების საფუძველზე ხვდებოდნენ პირველ და მეორე ინსტანციებში. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ კლანი საბჭოში გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი ხმების 2/3-ს აკონტროლებს. იმავდროულად, მას საქმეს უადვილებს პროცედურები, რომლებიც კვლავ შეიცავს ხარვეზებს:

- მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის, რომლებიც კენჭისყრის ეტაპზე არ დაიშვებიან, არ არის გათვალისწინებული გასაჩივრების მექანიზმი;
- გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ გადანიშნისას მოქმედებს შედარებით გამჭვირვალე წესი, რომელიც კანდიდატთა მხოლოდ მცირე ნაწილზე (სკოლის მსმენელებზე) ვრცელდება. თუმცა, ხარვეზები აქაც გვხვდება. მაგალითად, თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, 6 შემფასებლიდან 4 მიიჩნევს, რომ მოსამართლე ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, ასევე, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ვერ აღწევს 70%-ს, საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს სამართლებრივ აქტს უვადოდ განწესების მოთხოვნის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. საკითხი არ დგება კენჭისყრაზე. ეს წესი უწინააღმდეგება კონსტიტუციურ რეგულირებას, რომლის თანახმად, მოსამართლედ კანდიდატის არდანიშნისთვის 6 პირის უარია საჭირო;
- სამ წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოსამართლეების უვადოდ გადანიშნისას არ საჯაროვდება მათი განცხადებების შემოსვლის თარიღი და ინფორმაცია საკითხის განხილვის ეტაპების შესახებ. არ არის დადგენილი გადაწყვეტილების მიღების ვადები. შესაძლოა, საბჭომ ეს მოსამართლეზე ზეწოლის ბერკეტად გამოიყენოს;
- პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის დროს გასაუბრებები დახურულ ფორმატში ტარდება, რაც, გამჭვირვალობის თვალსაზრისით, პრობლემებს წარმოშობს;
- კანონით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, საბჭოს წევრები მონაწილეობენ კონკურენტ კანდიდატებთან გასაუბრების პრო-

ცესში, რაც მათ, დანარჩენ კონკურსანტებთან შედარებით, არასამართლიან და უთანასწორო პირობებში აყენებს;

- მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისას არ არის განსაზღვრული გამჭვირვალე პროცედურა. საბჭო არ აქვეყნებს ინფორმაციას პროცესის დაწყების, მონაწილეთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ.

მართლმსაჯულების რეფორმის „მეოთხე ტალღის“ შემდეგ სიახლეებია იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიმართულებით (შემდეგში – სკოლა), რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მსმენელთა მისაღებ კონკურსს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად, თავად სკოლა ჩაატარებს.⁵ ამ ცვლილებების აუცილებლობაზე არაერთ ანგარიშშია საუბარი. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებისა და თავმჯდომარის შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო როლი. ამასთან, კანონმა არ დაარეგულირა მსმენელთა შერჩევის წესი და კრიტერიუმები, რომლებიც ობიექტურობის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

საკვალიფიკაციო გამოცდების გამართულად ჩატარების კუთხით გადადგმული გარკვეული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად (იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა გამოცდის ჩატარების წესი, განახლდა საკვალიფიკაციო პროგრამა, ტრენინგი ჩაუტარდა 30 ექსპერტს), კვლავ პრობლემურია, პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო როლი.

კიდევ ერთი პრობლემა თავმჯდომარეებს უკავშირდება. სასამართლოს თავმჯდომარეები, რომლებიც, იმავდროულად, იკავებენ საბჭოს წევრის თანამდებობას, ფაქტობრივად, ჩამოცილებულნი არიან სამოსამართლო საქმიანობას. დადგენილი არ არის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა (რის გამოც, მაგალითად, მხოლოდ ერთი პრეტენდენტის შემთხვევაში, გასაუბრებები აღარ ტარდება). ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია სასამართლოს შიდა ქსელში ქვეყნდება, თუმცა პროცესი, ძირითადად, არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. კვლავ გამოწვევად რჩება თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის მექანიზმის დაურეგულირებლობა, რაც შესაძლებლობას იძლევა, ეს უფლებამოსილება კონკრეტულ პირს განუსაზღვრელი ვადით და გაურკვეველი საფუძ-

⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66¹⁴-ე მუხლი.

ვლით დაეკისროს. ამ ფონზე, თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის პრაქტიკა საბჭოს მიერ სასამართლო სისტემაში ხელმძღვანელი თანამდებობის პირების თვითნებურად განწესების შთაბეჭდილებას ტოვებს. თავმჯდომარეს აქვს ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა მარტივი, დაუსაბუთებელი გადაადგილების შესაძლებლობა, რაც მანიპულაციის რეალურ რისკებს შეიცავს.

ანგარიში ეხება კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს – დისციპლინურ სამართალწარმოებას. „მეოთხე ტალღის“ ცვლილებები მეტწილად სწორედ მის საკანონმდებლო მოწესრიგებას ისახავდა მიზნად. გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები გადაცდომის სახეებისა და სამართალწარმოების პროცედურების დახვეწის მიმართულებით. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება დამოუკიდებელ ინსპექტორთან (შემდგომში – ინსპექტორი) დაკავშირებული საკითხები, რომლებიც პროცესში საკვანძოა:

- ინსპექტორის დანიშვნისას საკმარისია საბჭოს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. ეს შესაძლებლობას აძლევს მოსამართლე წევრებს, თანამდებობაზე მათთვის მისაღები წევრი გაიყვანონ;
- დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის წესი არ განსაზღვრავს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. არ არის დადგენილი: კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები (ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება) და პროცედურები (შერჩევის კრიტერიუმები, გასაუბრების ჩატარების მიზანი და წესი, გასაუბრებაზე გამოსარკვევი საკითხები, კანდიდატის შეფასების წესი და მისი დასაბუთება).

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების გაცნობისას ნათელი ხდება, რომ: საჩივრების განხილვის ვადები კვლავ ჭიანურდება; საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებებში შეტანილი არ არის ინსპექტორის არგუმენტები გადაცდომის ნიშნების არსებობა-არარსებობის შესახებ; მაღალია მათი შეწყვეტის მაჩვენებელი.

ცალკე განსახილველია საბჭოს გამჭვირვალობა. დადებითად უნდა შეფასდეს მართლმსაჯულების რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ცვლილებები, რომლებითაც საბჭოს ორი სახის – ინდივიდუალური (განკარგულება) ან ნორმატიული (დადგენილება) აქტების მიღების

უფლება განესაზღვრა. განკარგულება უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. პირს, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ეს დოკუმენტი, უფლება აქვს, მის მიღებაამდე წარადგინოს წერილობითი მოსაზრება. დადებით შეფასებას იმსახურებს, ასევე, 2018 წლიდან დადგენილი პრაქტიკა (ის 2019 წელსაც გაგრძელდა), რომელიც დღის წესრიგის განმარტებებით გამოქვეყნებას გულისხმობს.

მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს პრობლემები როგორც ნორმატიულ ბაზაში, ისე საბჭოს მიერ დადგენილ პრაქტიკაში, რაც, საერთო ჯამში, საბჭოს გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ხარისხს მნიშვნელოვნად აზიანებს. მენეჯმენტის პრობლემაზე მიუთითებდა რამდენიმე საათის დაგვიანებით დაწყებული სხდომები. პრობლემურია მათი დახურვის პროცედურების ბუნდოვანებაც.

მონიტორინგის შედეგად, ამ ნაწილში შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოიკვეთა:

- საბჭოს რეგლამენტში არაფერია ნათქვამი, ვინ ადგენს და ამტკიცებს დღის წესრიგის პროექტს. არ არის განსაზღვრული საბჭოს წევრის უფლება, მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება;
- საბჭოს რეგლამენტით არ არის დარეგულირებული, რა დრო ეთმობა საბჭოს თითოეულ წევრს პოზიციის დასაფიქსირებლად, რამდენჯერ შეიძლება ერთსა და იმავე საკითხზე გამოსვლა და დამატებით რამდენი წუთი უნდა მიეცეს განცხადების გასაკეთებლად;
- რეგლამენტით ასევე სათანადოდ არ არის დარეგულირებული გარეშე პირთა მოწვევისა და სხდომაზე დამსწრეთა მიერ აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. ამგვარ ინიციატივას საბჭო, როგორც წესი, ნეგატიურად ხვდებოდა და არ აკმაყოფილებდა.

საანგარიშო პერიოდში მუდმივად ირღვეოდა სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის 7 დღით ადრე გამოქვეყნების წესი. მონაცემები აღნიშნულის შესახებ მხოლოდ 1-3 დღით ადრე ხდებოდა ცნობილი. უმრავლეს შემთხვევაში ინფორმაცია 1 დღით ადრე გამოქვეყნდა. ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა საბჭოს სხდომების მედიის საშუალებით გამუქების პრობლემების მოსაგვარებლად.

ზემოთ აღნიშნული ყველა მონაცემი მიუთითებს, რომ, მიუხედავად

წინ გადადგმული ნაბიჯებისა, საბჭოში კვლავ რჩება მოსაგვარებელი პრობლემები. ისინი სათავეს კლანის ხელში მთელი ძალაუფლების კონცენტრაციიდან იღებს და ეხმარება მას სასამართლო სისტემის მართვაში, რაც მორჩილების პრინციპს ეფუძნება.

1. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა და წარდგენა

პირველ და მეორე ინსტანციაში ამ დროისთვის 282 მოქმედი მოსამართლეა.⁶ მათი განწესების მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს:

- ▷ კონკურსის წესით, გამოსაცდელი ვადით და მისი გავლის შემდეგ უვადოდ დანიშვნას;⁷
- ▷ სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ, კონკურსის წესით დანიშვნას;⁸
- ▷ სამ წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას.⁹

განსხვავებული რეგულაციებია დადგენილი ასევე საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს ყოფილი და მოქმედი მოსამართლეების უვადოდ დანიშვნისთვის.¹⁰

⁶ მონაცემები განახლებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

⁷ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი. გამოსაცდელი ვადით თანამდებობაზე ინიშნებიან: იუსტიციის სკოლის მსმენელები, 18 თვეზე მეტი და სამ წელზე ნაკლები სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირები.

⁸ იქვე, 36-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი.


⁹ იქვე, 79⁴-ე მუხლი.

¹⁰ იქვე, 35-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

დიაგრამა №1¹¹ აჩვენებს უფლებამოსილების ვადაში მყოფი მოსამართლეების სტატუსს.

საქალაქო/რაიონულ, მაგისტრატ და სააპელაციო სასამართლოებში დანიშნული მოსამართლეები

(2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემები)



1.1. გამოსაცდელი ვადით დანიშვნა

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის მიზნით, საბჭო ატარებს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ: (1) იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს, (2) ყოფილ ან მოქმედ მოსამართლეებს. წინამდებარე თავი პირველ ჯგუფს მიმოიხილავს. ისინი სამწლიანი გამოსაცდელი ვადით ინიშნებიან¹² კონკურსის გავლისა და საბჭოს ხმების 2/3-ის მიღების შემთხვევაში.¹³

„მესამე ტალღის“ რეფორმის შემდეგ, რომელიც მეტწილად სწორედ შერჩევა-დანიშვნის წესებში ცვლილებებს ითვალისწინებდა,

¹¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 იანვრის №35/4742-03-ო წერილი.

¹² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი.

¹³ იქვე.

დადგინდა, რომ კანდიდატი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით, ქულების მეშვეობით ფასდება.¹⁴ პროფესიული რეპუტაციისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია შემაჯამებელ ოქმში აისახება,¹⁵ შემდეგ კი კანდიდატებთან ინიშნება გასაუბრებები.¹⁶ იმ პირის კანდიდატურა, რომლის შემთხვევაშიც საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა (8 წევრი) მიიჩნევს, რომ „აკმაყოფილებს“ ან „სრულად აკმაყოფილებს“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის ნაწილში, საერთო ჯამში, მოპოვებული აქვს ქულათა არანაკლებ 70%, კენჭისყრაზე ღებდა.¹⁷ 24 მაისის სხდომაზე სკოლის კურსდამთავრებული 10 კანდიდატიდან კენჭისყრის ეტაპზე გადავიდა ყველა მათგანი, ხოლო დანარჩენი 68-დან 6 - ვერა. ამ შემთხვევაში საბჭოს ფორმალური გადაწყვეტილება არ მიუღია (რადგან ეს კანონითაც ასეა განსაზღვრული), შესაბამისად, კონკურსში მონაწილე დანარჩენი კანდიდატებისთვის უცნობი დარჩა, რატომ ვერ მიიღეს მხარდაჭერა. ამასთან, მათ არ ჰქონდათ უფლება, გადაწყვეტილება გაესაჩივრებინათ. საია მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, კანდიდატებს გააჩნდეთ გასაუბრებიდან კენჭისყრის ეტაპზე გადასვლაზე უარის გასაჩივრების შესაძლებლობა.

იმ კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებენ სამოსამართლო საქმიანობის დაწყების მინიმალურ სტანდარტს, საბჭო კენჭს უყრის. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების 2/3.¹⁸

2018 წლის 26 ოქტომბერს 43 ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის კენჭისყრა 2019 წლის 24 მაისს, 8 თვის თავზე გაიმართა.¹⁹ მასში მონაწილეობა პროტესტის ნიშნად არ მიუღიათ არამოსამართლე წევრებს – ანა დოლიძესა და ნაზი ჯანუზაშვილს.²⁰ დაინიშნა 32 მო-

¹⁴ იქვე, 35¹-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁵ იქვე, მე-7 პუნქტი.

¹⁶ იქვე, მე-13 პუნქტი.

¹⁷ იქვე, 35-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

¹⁸ იქვე, 36-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი.

¹⁹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის სხდომის ოქმი; აგრეთვე, იხ. 24 მაისის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა გაიმართება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 22 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WeaE9u>, განახლებულია: 26.02.2020.

²⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის სხდომის ოქმი.

სამართლე,²¹ ხოლო 11 ადგილი შეუვსებელი დარჩა.²² სასამართლო სისტემაში მანამდე უკვე არსებობდა 44 ვაკანსია. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში საბჭოს კონკურსი არ გამოუცხადებია. საბოლოო კენჭისყრის შედეგად, კონკურსში მონაწილე 10 მსმენელიდან გამოსაცდელი ვადით მხოლოდ 3 კურსდამთავრებული განწესდა.²³ აქვე ხაზგასასმელია, რომ სამივე მათგანს სასამართლო ინსტანციებში მდივნად/თანამემწედ მუშაობის გამოცდილება ჰქონდა. ეს აჩვენებს, რომ 2019 წელს საერთო სასამართლოში სისტემის გარედან ახალი კადრების შედინება არ მომხდარა.

1.2. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა

გამოსაცდელი ვადით განწესებულ მოსამართლეს 3 წლის განმავლობაში აფასებს საბჭოს სამი მოსამართლე და სამი არამოსამართლე წევრი.²⁴ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საბჭო მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას პირის უვადოდ დანიშვნის შესახებ.²⁵ გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრაზე, უარი საბუთდება, ხოლო დოკუმენტაცია საჯაროა.²⁶

ამ წესში არის გარკვეული ხარვეზები: თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას 6 შემფასებელიდან 4 მიიჩნევს, რომ მოსამართლე ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, ეს საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ ის გასაუბრების ეტაპზე არ დაუშვან.²⁷ ასევე, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ვერ აღწევს 70%-ს, საბჭოს თავმჯდომარე

²¹ 24 მაისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა გაიმართება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 22 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3c23M4Q>, განახლებულია: 04.03.2020.

²² იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი დასრულდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ejjw0q>, განახლებულია: 04.03.2020.

²³ იქვე.

²⁴ იქვე, 36-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი.

²⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი.

²⁶ იქვე, 36⁴-ე მუხლი.

²⁷ იქვე, მე-13 პუნქტი.

გამოსცემს სამართლებრივ აქტს უვადოდ განწესების მოთხოვნის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.²⁸ საკითხი არ დგება კენჭისყრაზე. ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ რეგულირებას, რომლის მიხედვითაც, პირი მოსამართლედ არ დაინიშნება, თუ მის კანდიდატურას მხარს არ უჭერს საბჭოს 6 წევრი.²⁹ არსებული წესის თანახმად, ფაქტობრივად, ამის გაკეთება 4 წევრს შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, ეს ჩანაწერი, პირველადი წესის არაკონსტიტუციურობას ვერ ცვლის. ეს რეგულაცია უნდა გაუქმდეს. ამის ნაცვლად, 4 წევრის მიერ ამგვარი შეფასების შემთხვევაში, საბჭოს სხდომას უნდა წარედგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილების პროექტი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. თუ წინადადება მოაგროვებს 6 ხმას, მოსამართლე უვადო დანიშვნის გასაუბრებაზე არ დაიშვება.

მოქმედი პროცედურით, 2019 წელს საბჭომ 9 მოსამართლის საკითხი განიხილა და ყველა მათგანი თანამდებობაზე უვადოდ დანიშნა.³⁰ თითოეულს მხარი საბჭოს თოთხმეტივე წევრმა დაუჭირა.³¹

1.3. სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირების უვადოდ, კონკურსის წესით დანიშვნა

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კონკურსში, სკოლის კურსდამთავრებულების გარდა, მონაწილეობის უფლება აქვთ, მოქმედ და ყოფილ მოსამართლეებს. ისინი, კონკურსის ეტაპების წარმატებით გავლის შემთხვევაში, უვადოდ ინიშნებიან.³² აქ პროცედურები თით-

²⁸ იქვე.

²⁹ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილებას საბჭოს 15 წევრიდან 10-მა უნდა დაუჭიროს მხარი. თუ 6 წინააღმდეგი იქნება, პირს მოსამართლედ არ დანიშნავენ.

³⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1278/4745-03-ო წერილი.

³¹ სამი წლის ვადით დანიშნული ცხრა მოსამართლე უვადოდ განწესდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 20 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WWQu5o>, განახლებულია: 04.03.2020.

³² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი.

ქმის იგივეა, რაც გამოცდილების არმქონე პირთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნისას, თუმცა პროფესიული თვისებების ნაწილში ემატება სასამართლო დარბაზში ქცევა, ამასთან, ფასდება (გარდა საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს მოქმედი ან ყოფილი წევრისა) მის მიერ განხილული 5 საქმე (მათ შორის, არანაკლებ 2, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა იყოს ისეთი, რომელზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილება ზემდგომმა სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა).³³ კონკურსის შედეგად 27 მოქმედი და 2 ყოფილი მოსამართლე განწესდა.³⁴

1.4. სამ წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოსამართლეების უვადოდ გადანიშვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, 2017 წლის 16 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით უვადოდ დანიშვნის განსხვავებული წესი დადგინდა იმ პირთათვის, რომლებიც გამოსაცდელ ვადაში იმყოფებიან, თუმცა მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვთ.³⁵ ვადის ამოწურვამდე მათი უფლებაა, უვადოდ განწესება მოითხოვონ.³⁶ საბჭო უფლებამოსილია, განსაზღვროს განცხადებების განხილვის პრიორიტეტულობა მოსამართლის საქმიანობის შეფასების დაწყების თარიღის გათვალისწინებით.³⁷

³³ იქვე, მე-2 პუნქტი.

³⁴ 24 მაისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა გაიმართება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 22 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3c23M4Q>, განახლებულია: 04.03.2020.

³⁵ მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის მარეგულირებელ ნორმებში ცვლილებები განპირობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 15 თებერვალს მიღებულმა №3/1/659 გადაწყვეტილებამ საქმეზე - „მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ გადაწყვეტილებით, 2017 წლის 1-ლი ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 41-ე პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდება პირი, რომელიც არის მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე და აქვს სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

³⁶ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 79⁴-ე მუხლი.

³⁷ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13⁴ მუხლის მე-2

უვადოდ გადანიშნისთვის დადგენილია მონაცემების მოძიების, საქმეთა შესწავლისა და ქულებით შეფასების სისტემა.³⁸ თუმცა, პრობლემა ის არის, რომ საბჭო თავის ვებგვერდზე არ აქვეყნებს ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობის შესახებ. შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის უცნობია მოსამართლეთა განცხადებების შემოსვლის თარიღი, მიუწვდომელია ინფორმაცია საკითხის განხილვის ეტაპების თაობაზე, გარდა ამისა, დადგენილი არ არის გადაწყვეტილების მიღების ვადები, რაც, შესაძლოა, საბჭომ მოსამართლეზე ზეწოლის ბერკეტად გამოიყენოს. ამის გამო, ეს პროცედურა მუდმივად კრიტიკის საგანს წარმოადგენდა.³⁹ არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე საბჭოს მიერ შესაბამისი რეგულაციების დახვეწისა და საკანონმდებლო წინადადებების მომზადების აუცილებლობაზე საანგარიშო პერიოდშიც საუბრობდა.⁴⁰ 2019 წელს უვადოდ გადანიშნული 45 მოსამართლიდან განაცხადი ყველას 2018 წელს ჰქონდა გაკეთებული.⁴¹ საბჭომ თითოეული მათგანის უვადოდ გადანიშვნას მხარი დაუჭირა.

მოსამართლეთა ამ ნაწილის საქმიანობის მიმართ ყველაზე მეტი კითხვის ნიშანი არსებობს და, სამწუხაროდ, მათი უვადოდ გადანიშვნა სწორედ ასეთი ხარვეზიანი წესით განხორციელდა. ამჟამად სისტემაში აღნიშნული პროცედურით განწესებულია 119 პირი. დარჩენილია მხოლოდ 3 მოსამართლე, რომელსაც გადანიშვნა არ მოუთხოვია.⁴²

პუნქტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WmWN0S>, განახლებულია: 04.05.2020.

³⁸ იქვე, მე-13² მუხლის მე-6 პუნქტი.



³⁹ ნოზაძე ნ; შერმადინი ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, გვ. 23-24, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zqPX2X>, განახლებულია: 18.03.2020.

⁴⁰ საბჭოს 2019 წლის 11 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

⁴¹ საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის №1278/4745-03-ო წერილი.

⁴² ესენი არიან: რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დიანა გოგატიშვილი, სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან ნუგუზიძე და თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მამუკა წიკლაური.

დიაგრამებში №2 და №3⁴³ აღწერილია 24 მაისის კენჭისყრის შედეგები – კონკურსში მონაწილე და საბჭოს მიერ თანამდებობაზე განწესებულ (უვადოდ, გამოსაცდელი ვადით) პირთა სტატისტიკა და სტატუსი.



⁴³ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი დასრულდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 24 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3გქPKj>, განახლებულია: 26.02.2020.

1.5. კონკურსი ინტერესთა კონფლიქტის პირობებში

„მესამე ტალღის“ ცვლილებებით დარეგულირდა ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. კერძოდ, საბჭოს წევრი ვერ ჩაერთვება განხილვებში, თუ კონკურსში თავადაც მონაწილეობს.⁴⁴ თუმცა, კანონის ეს მოთხოვნა არ სრულდება.

საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ იმ კანდიდატებთან გასაუბრებაში, რომლებსაც მათ ვაკანსიაზე ჰქონდათ შეტანილი განაცხადი. ეს არასამართლიან და უთანასწორო პირობებს ქმნიდა. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დაწყებამდე კანდიდატურები მოხსნეს ვასილ მშვენიერაძემ, რევაზ ნადარაიამ და ირაკლი ბონდარენკომ.⁴⁵ გარდა ამისა, საბჭოს მდივანმა მონაწილეობა არ მიიღო სააპელაციო სასამართლოში არსებულ ვაკანსიაზე მიმდინარე კონკურსსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოცხადებული ვაკანსიის კენჭისყრის ეტაპზე,⁴⁶ თუმცა იქამდე ისინი კანონს არღვევდნენ. აუცილებელია საბჭოს საქმიანობაში მომავალში სრულად აღმოიფხვრას ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები.

1.6. მოსამართლეთა გადანიშვნა და დაწინაურება

წლების განმავლობაში კრიტიკის საგანს წარმოადგენდა კონკურსის გარეშე გადანიშვნის რეგულაცია და პრაქტიკა.⁴⁷ „მესამე ტალღის“ ცვლილებებმა გაითვალისწინა ამ წესით პირის დანიშვნის შესაძლებლობა იმავე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ, მისივე თანხმობით.⁴⁸ სიახლეებით, ეს პროცესი მოსამართლის დაწინაურებისთვის დადგენილი კრიტერიუმებით უნდა წარიმართოს, რომელთა შემუშავებაც საბჭოს დაევალა.⁴⁹ ამგვარად ამ ორი მიზნისთვის კანონმდებლობით ერთი პროცედურაა გათვალისწინებული.

⁴⁴ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35³-ე მუხლი.

⁴⁵ საბჭოს 2019 წლის 24 მაისის სხდომის ოქმი.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ ნოზაძე ნ; შერმაღინი ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, გვ. 23-24, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zqPX2X>, განახლებულია: 04.03.2020.

⁴⁸ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლი.

⁴⁹ იქვე, 41-ე მუხლი.

პროცედურების მიხედვით, ინფორმაცია ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე. მსურველ მოსამართლეს განაცხადის წარდგენისთვის 7 დღე აქვს,⁵⁰ რის შემდეგაც მას საბჭო განიხილავს და პირს გასაუბრებზე იწვევს.

საანგარიშო პერიოდში საკითხი 7-ჯერ დადგა დღის წესრიგში. საერთო ჯამში, 101 ვაკანსიაზე 46 მოსამართლე გადაინიშნა, მათგან 19 დაწინაურდა. სამწუხაროდ, პროცესი არ იყო გამჭვირვალე. საბჭო არ აქვეყნებდა მასალებს პროცესის დაწყების, მონაწილეთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ. ინფორმაცია მხოლოდ გასაუბრების დღეს, სხდომაზე ხდებოდა ხელმისაწვდომი. გასაუბრება (რომელიც უმეტესად 5-10 წუთი გრძელდებოდა და, მეტწილად, მოტივაციისა და დატვირთულობის შესახებ კითხვებს მოიცავდა) და კენჭისყრა, ძირითადად, ერთსა და იმავე დღეს ტარდებოდა. **მნიშვნელოვანია, საბჭომ მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანისა და დაწინაურების პროცესი გამჭვირვალედ წარმართოს.**

პირველად საკითხის ინიცირება 10 ვაკანსიაზე მოხდა. ყოველ მომდევნო ჯერზე ეს რიცხვი იზრდებოდა⁵¹ და, ბოლოს, 74-ს მიაღწია.⁵² პროცესს მხარს არ უჭერდნენ საბჭოს არამოსამართლე წევრები – ანა დოლიძე, ირმა გელაშვილი და ნაზი ჯანუშაშვილი.⁵³ ამ უკანას-

⁵⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13¹ მუხლის მე-8 პუნქტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WmWN0S>, განახლებულია: 04.03.2020.

⁵¹ 31 მაისს კონკურსის გარეშე გადაყვანა გამოცხადდა 10 ვაკანსიაზე და 20 ივნისს, ამ პროცედურის შედეგად, გადაინიშნა 5 მოსამართლე. 25 ივნისს საკითხი ინიცირდა 15 ვაკანსიაზე, გადაინიშნა 11 მოსამართლე, 6 მათგანი დაწინაურდა სააპელაციო ინსტანციაში. 9 ივლისს 26 ვაკანსიაზე კვლავ ინიცირდა კონკურსის გარეშე გადაყვანები. 4 სექტემბრის სხდომაზე კენჭისყრის შედეგად, 11 მოსამართლე გადაინიშნა, მათ შორის, 6 დაწინაურდა სააპელაციო ინსტანციაში. იმავე სხდომაზე საბჭომ კვლავ დაინიშნა საკითხი 51 ვაკანსიაზე მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაინიშნის შესახებ. განაცხადების წარდგენის ვადა 04 სექტემბერს ინიცირებულ საკითხზე ოთხჯერ შეიცვალა, მაშინ, როდესაც საბჭოს რეგლამენტი ამისთვის 7 დღიან ვადას აწესებს. კენჭისყრა 22 ნოემბერს გაიმართა, 14 მოსამართლე გადაინიშნა, მათ შორის 6 დაწინაურდა. იმავე სხდომაზე კვლავ მოხდა საკითხის ინიცირება 74 ვაკანსიაზე, 10 დეკემბრის სხდომაზე გადაინიშნა 6 მოსამართლე, ერთი დაწინაურდა. 26 დეკემბერს საკითხი კვლავ დაინიშნა.


⁵² იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის სხდომის ოქმი.

⁵³ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის სხდომის ოქმი.

კნელმა იკითხა, რას ემსახურებოდა კონკურსის გარეშე ამდენი გადანიშვნა, როცა სასამართლო სისტემა განიცდიდა მოსამართლეთა ნაკლებობას და ეს როტაცია არაფერს ცვლიდა.⁵⁴ არსებული პრაქტიკა ასევე გააპროტესტა ირმა გელაშვილმა, ვინაიდან სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული რეგლამენტით გაწერილი წესი და შერჩევის კრიტერიუმები.⁵⁵

დიაგრამა №4-ზე ნაჩვენებია მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადანიშვნის დინამიკა.

2019 წელს მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადანიშვნის სტატისტიკა



⁵⁴ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისისა და 22 ნოემბრის სხდომის ოქმი.

⁵⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 16 ივლისის სხდომის ოქმი.

1.7. მოსამართლეთა მივლინება

სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღით“ ასევე მოწესრიგდა მივლინების წესი,⁵⁶ დადგინდა მისი საფუძვლები და მოსამართლის შერჩევის პროცედურა.⁵⁷ განახლებული რეგულაციით 2019 წელს საბჭომ 6-ჯერ მიიღო გადაწყვეტილება.⁵⁸ ყველა შემთხვევაში დასაბუთებულია ქმედების საჭიროება და მისი გავლენა როგორც გადაყვანის, ისე მივლინების ადგილებზე, ასევე, დაფიქსირებულია მოსამართლის თანხმობა, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.⁵⁹ ამის პარალელურად, სამწუხაროდ, საბჭო არღვევს საკუთარ რეგლამენტს⁶⁰ და საკითხის განხილვის დროს სხდომაზე არ იწვევს მისავლი-
ნებელ მოსამართლეს. ეს პრაქტიკა უნდა შეიცვალოს.

1.8. სკოლაში მსმენელთა მიღება (საანგარიშო პერიოდში მოქმედი წესი)

საბჭომ სკოლაში 4 მარტსა⁶¹ და 25 ნოემბერს⁶² 20-20 მსმენელი ჩარიცხა. ეს ციფრი ტრადიციად იქცა. საბჭოს განმარტებით ამის მიზეზი სკოლის შეზღუდული რესურსებია.

აღსანიშნავია, რომ საბჭომ, 2018 წელს დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით, ჩა-

⁵⁶ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37¹-ე მუხლი.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №112/186-03-ო წერილი.

⁵⁹ ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დ. კეკელიძის გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის №1/324 გადაწყვეტილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZwQ5s2>, განახლებულია: 28.02.2020.

⁶⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶¹ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შესარჩევად კენჭისყრა გაიმართა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 04 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZzI5rm>, განახლებულია: 04.03.2020.

⁶² იუსტიციის უმაღლესი სკოლაში მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ საბჭოს 2019 წლის 25 ნოემბრის №1/295 გადაწყვეტილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZKQXK3>, განახლებულია: 04.03.2020.

რიცხვის გასაუბრებები დახურულ რეჟიმში წარმართა.⁶³ მანამდე სხდომები, როგორც წესი, ღია იყო. საბჭო არც ვებგვერდზე აქვეყნებს და არც საჯარო ინფორმაციის სახით გასცემს კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს.⁶⁴

ძველი წესით ჩარიცხვამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სკოლაში მსმენელთა მიღების ობიექტურ და გამჭვირვალე პროცედურებს. კვლავ პრობლემად რჩება:

- ▷ შერჩევის კრიტერიუმები;
- ▷ შეფასების პროცედურა და ვადები;
- ▷ არასაკმარისად ფორმალიზებული გასაუბრება;
- ▷ გასაჩივრების მექანიზმის არარსებობა.

ამ პრობლემების აღმოფხვრა, მართლმსაჯულების „მეოთხე ტალღის“ ცვლილებებით, სკოლის კომპეტენციად განისაზღვრა.⁶⁵ მნიშვნელოვანია, რომ ამ უკანასკნელმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ხარვეზების შესავსებად და მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცესის უზრუნველსაყოფად.

1.9. სკოლაში მსმენელთა მიღება („მეოთხე ტალღის“ ცვლილებების შეფასება)

სკოლის საქმიანობის ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა საჭიროებაც, წლებია, არსებობდა.⁶⁶ კერძოდ, მსმენელთა

⁶³ იქვე.

⁶⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 21 თებერვლის №14/325-03-ო წერილი.

⁶⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი. ამ ნორმის მიხედვით, 2020 წლის 1 სექტემბრამდე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღებ კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

⁶⁶ აბაშიძე ა; არგანაშვილი ა; ბერაია გ; ვერძელი ს; კუკავა ქ; შერმადინი ო; ციმაკურიძე ე; სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თბილისი, 2017 წელი, გვ. 43, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2A3wsxa>, განახლებულია: 26.02.2020.

მისაღებ კონკურსს, საბჭოს ნაცვლად, სკოლა ჩაატარებს.⁶⁷ ასევე, შეიცვალა კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დადგენილი მოთხოვნები,⁶⁸ გაიზარდა სტიპენდიის ოდენობა,⁶⁹ სწავლის ხანგრძლივობა⁷⁰ და სხვა.

მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, კვლავ პრობლემურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტების პროცესში. კერძოდ:

- სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 7 წევრიდან 2-ს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან;⁷¹
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს დამატებით კიდევ 2 წევრს აკადემიის კვოტიდან;⁷²
- სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის კვოტიდან (სულ 3), იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.⁷³

სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შიდაორგანიზაციული თავისუფლების უზრუნველსაყოფად, უმჯობესია, მისი წევრების შერჩევასა შემცირდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი. ასევე, თავმჯდომარის არჩევის უფლება თავად სკოლის საბჭოს მიენიჭოს. ეს შეამცირებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების გავლენას სკოლაში მსმენელთა შეღინების პროცესზე.

⁶⁷ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66¹⁴-ე მუხლი.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე, 66¹⁷-ე პუნქტი.

⁷⁰ იქვე, 66²¹-ე პუნქტი.

⁷¹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 66³-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁷² იქვე.

⁷³ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66³-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

1.10. საკვალიფიკაციო გამოცდა

საკვალიფიკაციო გამოცდა სკოლაში ჩარიცხვის წინაპირობაა. მის აღმინისტრირებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს, მაშინ როცა, „მეოთხე ტალღის“ ცვლილებებით, მსმენელთა კონკურსს ატარებს სკოლა,⁷⁴ რომელიც პასუხისმგებელია მსმენელის თეორიული ცოდნის გადრმავებასა და მისთვის პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ლოგიკური იქნება, თუ საკვალიფიკაციო გამოცდებიც მის იურისდიქციაში გადავა. ეს უზრუნველყოფს სკოლაში მსმენელთა ჩარიცხვის ერთიან პროცესს.

2018 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი. განახლდა მისი პროგრამა.⁷⁵ გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა ინტენსიური სასერტიფიკატო კურსი გამოცდის მომზადების მეთოდოლოგიაში და ტრენინგი ჩაუტარა სპეციალურად შერჩეულ 30 ექსპერტს.⁷⁶ კომისიამ შეადგინა ახალი ტესტები.⁷⁷ ეს ნაბიჯები დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ქვემოთ განხილული რამდენიმე საკითხი.

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა, თარიღი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ღონისძიებების ვადები განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.⁷⁸ ამ უკანასკნელმა საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოც-

⁷⁴ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონი, 66¹⁴ -ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁷⁵ სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში, გვ. 54, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XswKpf>, განახლებულია: 18.04.2019.

⁷⁶ იქვე.


⁷⁷ იქვე.

⁷⁸ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №1/129 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, მე-4 მუხლი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3c792EF>, განახლებულია: 04.03.2020.

და ორჯერ გამოაცხადა – ზამთარში⁷⁹ და გაზაფხულზე⁸⁰ – როგორც საერთო, ისე სპეციალიზაციების მიხედვით. რეგისტრაციის ინსტრუქცია, ჩატარების ვადები და გამოცდასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია წესის შესაბამისად ქვეყნდება.

საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები აჩვენებს, რომ საკმაოდ მაღალია მისი ჩაბარების მსურველთა რიცხვი, თუმცა მცირეა გამოცდა-ჩაბარებულთა რაოდენობა.

დიაგრამა №5⁸¹ აღწერს 2019 წელს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების სტატისტიკას.



⁷⁹ მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის გამართვის თარიღი ცნობილია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2018 წლის 11 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ghmMjb>, განახლებულია, 21.04.2020.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა დასრულდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 06 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36tpNZt>, განახლებულია: 26.02.2020.

1.11. უზენაეს სასამართლოში კანდიდატთა ნომინირება

კონსტიტუციური რეფორმის შემდეგ საბჭოს მიენიჭა უზენაესი სასამართლოს წევრებისა და თავმჯდომარის კანდიდატურების ნომინირების უფლებამოსილება.⁸² კოალიცია ამ ცვლილებას ეწინააღმდეგებოდა.⁸³ საია მიიჩნევს, რომ წინა მოდელი, რომლის მიხედვითაც ეს უფლებამოსილება პრეზიდენტის კომპეტენციას განეკუთვნებოდა, უკეთ უზრუნველყოფდა პოლიტიკურ ბალანსს ხელისუფლების მტოებს შორის.

2018 წლის ბოლოს საბჭომ საკანონმდებლო ორგანოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა 10 კაციანი სია ყოველგვარი პროცედურის გარეშე წარადგინა.⁸⁴ კოალიციამ პარლამენტს მოუწოდა, უარი ეთქვა მის განხილვაზე და სასწრაფოდ დაეწყო მუშაობა ცვლილებებზე, რომლებიც განსაზღვრავდა როგორც კანდიდატთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ისე მათი ნომინირების წესს.⁸⁵ ამასთან, წარდგენა და არჩევა უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ საბჭოს შემადგენლობის განახლებისა და საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ.⁸⁶ პარლამენტმა კანდიდატთა განხილვა შეაჩერა. საბოლოოდ კი, თავად პრეტენდენტებმა თქვეს უარი პროცესში მონაწილეობაზე.⁸⁷

⁸² საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლი, საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის 16 დეკემბერს.

⁸³ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის ახალ პროექტზე, გვ. 2, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2017 წლის 18 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TJtrs5>, განახლებულია: 18.04.2019.

⁸⁴ ნოზაძე ნ; შერმადინი ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, გვ. 26, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zqPX2X>, განახლებულია: 18.03.2020.

⁸⁵ კოალიცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესზე მუშაობის დაწყებას პარლამენტისგან დაუყოვნებლივ ითხოვს, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 9 იანვარი, ხელმისაწვდომია: განახლებულია: 16.01.2020.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ უზენაესი სასამართლეობის სადავო კანდიდატებმა მოსამართლეებად არჩევაზე უარი თქვეს, 2019 წლის 21 იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2B856qj>, განახლებულია: 26.12.2019.

12 იანვარს გაიმართა პარლამენტის თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის შეხვედრა, რომლის დასრულების შემდგომ სპიკერმა განაცხადა, რომ პროცედურა, ისევე როგორც კრიტიკრიუმები, კანონით დადგინდებოდა და ამის შესახებ მსჯელობა სასამართლოს რეფორმის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაგრძელდებოდა.⁸⁸

სამუშაო ჯგუფში წინადადებები კოალიციამაც წარადგინა.⁸⁹ თუმცა, მოგვიანებით, მან ეს ფორმატი დატოვა,⁹⁰ ვინაიდან უმრავლესობამ არ გამოხატა მიმდებლობა არაერთი სამართლიანი, დასაბუთებული კრიტიკის/შეთავაზების მიმართ. მართალია, საერთაშორისო ორგანიზაციების საკმაოდ მკაცრი დასკვნების შემდეგ მასში ცალკეული პოზიტიური ცვლილებები შევიდა,⁹¹ თუმცა კანონის საბოლოო ვერსია „კლანს“ შესაძლებლობას აძლევდა, მისთვის სასურველი გადაწყვეტილებები მიეღო.

1.12. კონკურსის გამოცხადება

10 მაისს კანდიდატთა შერჩევის პროცესი განახლებული კანონმდებლობის საფუძველზე დაიწყო.⁹² 20 ვაკანსიაზე განცხადებები, კანონის შესაბამისად,⁹³ 31 მაისის ჩათვლით, ელექტრონული ფორ-

⁸⁸ კობახიძე მიქუტაძეს შეხვდა, სამუშაო ჯგუფი მოსამართლეთა ასარჩევად კრიტიკრიუმებს შეიმუშავებს, ტაბულა, 2019 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZvkeYZ>, განახლებულია: 29.01.2020.

⁸⁹ წინადადებები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კრიტიკრიუმებსა და პროცედურასთან დაკავშირებით, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 24 იანვარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gob5rg>, განახლებულია: 29.01.2020.

⁹⁰ კოალიციამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ შეთავაზებული სამუშაო ფორმატი დატოვა, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 27 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3esBOKH>, განახლებულია: 29.01.2020.

⁹¹ კოალიცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და არჩევის ახალ წესს აფასებს, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2A2xnhw>, განახლებულია: 29.01.2020.

⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა იწყება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2z1R886>, განახლებულია: 29.01.2020.

⁹³ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

რმით მიიღებოდა.⁹⁴ კონკურსის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნესა და საბჭოს ვებგვერდზე,⁹⁵ ასევე, გადაეგზავნა საზოგადოებრივ და ყველა ეროვნულ მაუწყებელს.⁹⁶

1.13. ცენზები

კონკურსში განაცხადის წარდგენა შეეძლო საქართველოს მოქალაქეს 30 წლის ასაკიდან, შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლებით და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილებით.⁹⁷ ვენეციის კომისიის, ასევე, უთოს მიერ გამოქვეყნებული დასკვნების მიხედვით, მინიმალურ ზღვრად 30 წლის ასაკის დადგენა და 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება არ იყო საუკეთესო საშუალება ქვეყნის უმაღლესი სასამართლო თანამდებობისთვის შესაფერისი ყველაზე კვალიფიციური პროფესიონალების გამოსავლენად.⁹⁸ ეს რეკომენდაციები კონსტიტუციაში ცვლილებებს მოითხოვდა და პარლამენტს არ გაუთვალისწინებია.

1.14. კანდიდატთა რეგისტრაცია

განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღეში საბჭო განიხილავს განცხადებებს და იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის რეგისტრაციის თაობაზე, რის შემდეგაც ვებგვერდზე აქვეყნებს განმცხადებელთა სიას და ავტობიოგრაფიებს.⁹⁹

⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა იწყება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VWfbi6>, განახლებულია: 29.01.2020

⁹⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34⁻ე მუხლის 1-ლი პუნქტი.


⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა იწყება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 10 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yzEddM>, განახლებულია: 20.05.2020.

⁹⁷ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁹⁸ opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, Opinion-Nr.: JUD-GEO/346/2019 [AIC], OSCE/ODIHR, Warsaw, 17 April 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZvNOgV>, განახლებულია: 29.01.2020.

⁹⁹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34⁻ე მუხლის მე-4 პუნქტი.

დიაგრამა №6¹⁰⁰ აჩვენებს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგებს.



საბჭოს მდივნის გიორგი მიქაუტაძის კანდიდატად რეგისტრაციას მხარი არ დაუჭირა ნაზი ჯანუშაშვილმა, ვინაიდან მას განაცხადში, სამის ნაცვლად, ორი რეკომენდატორი ჰყავდა მითითებული, რაც არღვევდა საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.¹⁰¹ თუმცა, საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ეს არგუმენტი არ გაიზიარა.

კანდიდატად რეგისტრაციის 7 ივნისის სხდომაზე გაირკვა, რომ კანდიდატებს საბჭოს აპარატიდან დაუკავშირდნენ და ინფორმაციის სრულყოფისთვის გარკვეული დოკუმენტების დამატებით წარდგე-

¹⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით დაარეგისტრირებულ განმცხადებელთა სია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 07 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LXeE9S>, განახლებულია: 20.03.2020. ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 07 ივნისის №1/108 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TBnUV6>, განახლებულია: 29.01.2020.

¹⁰¹ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მუშაობა დაიწყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 06 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KSCoLw>, განახლებულია: 29.01.2020.

ნის შესაძლებლობა მისცეს.¹⁰² ნაზი ჯანუზაშვილმა ეს ფაქტი გააპროტესტა და აღნიშნა, რომ, თუ ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა იყო საჭირო, ეს კანონით უნდა მოწესრიგებულიყო.¹⁰³ არათანაბარი მიდგომების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, ხარვეზის შევსების ვადა და საბჭოს აპარატის როლი ნორმატიული აქტით დაზუსტდეს.

საბჭო სათანადოდ არ დაინტერესდა და არ გამოიკვლია ზოგიერთი კანდიდატის, მათ შორის, მოქმედი გენერალური პროკურორის, შალვა თაღუმაძის (რომელიც საბოლოოდ გახდა კიდევ მოსამართლე), ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, ზაზა თავაძის განათლებების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. ამ უკანასკნელმა, საბოლოოდ, პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა და კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.¹⁰⁴

კანონმდებლობით, კანდიდატს ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო უარის გასაჩივრება შეუძლია საკვალიფიკაციო პალატაში,¹⁰⁵ რომელსაც საანგარიშო პერიოდში 2-მა პირმა მიმართა. არცერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.¹⁰⁶

¹⁰² იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 07 ივნისის სხდომის ოქმი.


¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ ზაზა თავაძემ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვა, ახალი ამბების სააგენტო GHN, 2019 წლის 02 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WjORw>, განახლებულია: 27.04.2020.

¹⁰⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2019 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №19სკ01-19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gkiofX>, განახლებულია: 29.01.2020. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2019 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №19სკ-02-19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2A1byid>, განახლებულია: 29.01.2020.

დიაგრამა №7 აღწერს კანდიდატებისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს.



1.15. ინტერესთა კონფლიქტი და ლეგიტიმაცია

კანონმდებლობა საბჭოს წევრებს ავალდებულებს, ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში წინასწარ განაცხადონ ამის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.¹⁰⁷ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ დასკვნებში ხაზგასმულია, რომ, თუ საბჭოს წევრი კანდიდატის ახლო ნათესავია ან მასთან მუშაობს, ნომინირების პროცედურისგან უნდა დისტანცირდეს.¹⁰⁸ საბჭოს წევრებს – თამარ ონიანსა და ირაკლი შენგელიას ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი კონკურსში მონაწილე კანდიდატებთან – ზურაბ აზნაურაშვილთან (თამარ ონიანის მაზლი) და ლევან თევზაძესთან (ირაკლი შენგელიას ცოლის ძმა). ამის თაობაზე არცერთ მათგანს არ განუცხადებია და არც საბჭოს უმსჯელია

¹⁰⁷ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 34¹-ე მუხლის მე-16 პუნქტი.

¹⁰⁸ Georgia - Urgent Opinion on the Selection and Appointment of the Supreme Court judges, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xqdQGF>, OSCE/ODIHR დასკვნა ცვლილებების პროექტზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, 2019 წლის 16 აპრილი, ხელმისაწვდომია. <https://bit.ly/2y6Cx1I>, განახლებულია: 29.04.2020.

მათი აცილების შესახებ. მიუხედავად არაერთი მოწოდებისა,¹⁰⁹ მათ შორის საბჭოს არამოსამართლე წევრების მხრიდან,¹¹⁰ ისინი პროცესს არ ჩამოშორდნენ.

პროცესს არ ჩამოშორდა საბჭოს კიდევ ერთი, არამოსამართლე წევრი – ზაზა ხარებავა. მისი უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით კოალიციამ პარლამენტს მიმართა, ვინაიდან ის, თავის დროზე, არჩევისას, ნომინირებული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ,¹¹¹ რაც კანონმდებლობის არსებით დარღვევასა და გადაყენების წინაპირობას წარმოადგენდა. საკანონმდებლო ორგანომ ამ საკითხზე არ იმსჯელა.

საბჭოს შემადგენლობაში ზემოაღნიშნული სამივე წევრის ყოფნის საკითხის გადაჭრა განსაკუთრებით აუცილებელი იყო, რადგან თითო ხმას კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. 11-მა კანდიდატმა მიიღო ხმათა საჭირო მინიმალური რაოდენობა (10 ხმა). მათი ჩამოშორებით „კლანს“ სერიოზულად უმცირდებოდა ძალაუფლება და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხდებოდა კონსენსუსი, რაც პროცესის სანდოობას გაზრდიდა. ამის საპირისპიროდ, პროცედურები არსებული ფორმატით გაგრძელდა, რამაც შერჩევის ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმართვა გამორიცხა.

1.16. კენჭისყრები

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ნომინირებისთვის კანონმდებლობა ითვალისწინებს ფარულ კენჭისყრას სამ ეტაპად:

¹⁰⁹ კოალიცია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის შემდგომი ეტაპებიდან საბჭოს ორი წევრის ჩამოცილებას მოითხოვს, კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 20 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zhjkVj>, განახლებულია: 21.04.2020.

¹¹⁰ ნაზი ჯანეზაშვილი და ანა დოლიძე.

¹¹¹ პარლამენტის თავმჯდომარისადმი კოალიციის მიმართვა ზაზა ხარებავასთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3d3LCKO>, განახლებულია: 29.01.2020.

1.16.1. პირველი კენჭისყრა

პირველი კენჭისყრის დროს კანდიდატები, წარმოდგენილი განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე, ე.წ. „გრძელი სიიდან“ გადაირჩევინ. საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავს პრეტენდენტთა არაუმეტეს იმ რაოდენობას, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული. თუ კონკურსი მიმდინარეობს 1 ან 2 ადგილზე, შემდეგ ეტაპზე გადადის არსებულ ვაკანსიებზე 3-ჯერ მეტი კანდიდატი,¹¹² ხოლო არანაკლებ 3 ადგილის შემთხვევაში – 2,5-ჯერ მეტი.¹¹³ ამ პროცედურის დროს გადაწყვეტილების მიღება მთლიანად დამოკიდებულია საბჭოს წევრთა სურვილებსა და სუბიექტურ ინტერესებზე.¹¹⁴ შედეგად, უცნობია, რის საფუძველზე გადავიდნენ ან ვერ გადავიდნენ ცალკეული კანდიდატები შემდგომ ეტაპზე.

20 ივნისს პირველი ფარული ფარდობითი კენჭისყრა გაიმართა. ორმა პრეტენდენტმა, მარიამ ცისკაძემ და მანანა ჩოხელმა, პროცედურების დაწყებამდე კანდიდატურა მოხსნა.¹¹⁵ საბჭოს თითოეულ წევრს 137 კანდიდატიდან ხმა არაუმეტეს 20-ისთვის უნდა მიეცა. საბოლოოდ, გასაუბრების ეტაპზე საუკეთესო შედეგის მქონე 50 კონკურსანტი გადავიდა. სახალხო დამცველის დასკვნის მიხედვით, ბიულეტენთა გარკვეული ნაწილი შემოხაზული იყო ერთიანი სქემით, რაც აჩენდა ეჭვს, რომ საბჭოს წევრთა ნაწილი ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებდა.¹¹⁶

¹¹² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 34¹-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ კოალიციის მიმართვა ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსადმი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კანონპროექტთან დაკავშირებით, კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3d12ZTf>, განახლებულია: 29.01.2020.

¹¹⁵ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმი.

¹¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, გვ. 11, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2019 წლის 08 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XaDoSt>, განახლებულია: 20.03.2020.

1.16.2. მეორე კენჭისყრა

საბჭოში გასაუბრების პროცესი 2019 წლის 17 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა და, ჯამში, 49 კანდიდატს მოუსმინეს (მოსამართლე ამირან ძაბუნაძემ გასაუბრების ეტაპზე უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე¹¹⁷). პროცესის დიაობა და საჯაროობა, ცალსახად, დადებითად უნდა შეფასდეს.

თავდაპირველად, საბჭოს წევრები ყოველდღიურად 5 კანდიდატთან გეგმავდნენ გასაუბრებას – თითოეულთან 45 წუთიდან 1 საათის განმავლობაში.¹¹⁸ თუმცა, პირველმა დღემ ცხადყო, რომ სამუშაო საათებში სრულყოფილი გასაუბრების ჩატარება მაქსიმუმ 2 კანდიდატთან მოესწრებოდა. 17-დან 26 ივლისის ჩათვლით პროცესი, თითქმის უწყვეტად, 10-11 საათი გრძელდებოდა. ასეთი გრაფიკი გააპროტესტეს არამოსამართლე წევრებმა.¹¹⁹ სხდომა პროტესტის ნიშნად რამდენჯერმე დატოვეს ანა დოლიძემ და ნაზი ჯანუაშვილმა.¹²⁰ კოალიციის შეფასებით, ქალებისთვის იმგვარი სამუშაო პირობების განსაზღვრა, რომელიც გამორიცხავს მათი მხრიდან ბავშვებზე ზრუნვას და დედის მოვალეობების შესრულებას, თავისი არსით, ირიბ დისკრიმინაციას წარმოადგენს.¹²¹ ამასთან, ასეთი დატვირთვა აზიანებს ხარისხსაც – პრაქტიკულად, შეუძლებელია კანდიდატების სრულფასოვანი, ადეკვატური შეფასება, შესაბამისად, ზიანდება როგორც მათი, ისე საბჭოს წევრებისა და აპარატის ინტერესები.

არამოსამართლე წევრების ინიციატივას, 2-მდე შეემცირებინათ დღის განმავლობაში გასაუბრებაზე გამომსვლელ კანდიდატთა რაოდენობა, საბჭოს მოსამართლე წევრები თავიდან უარყოფითად შეხვდნენ. თუმცა, 29 ივლისის მათი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

¹¹⁷ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება გაგრძელდება, 1tv, 2019 წლის 14 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36ufcxh>, განახლებულია: 18.03.2020.

¹¹⁸ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის სხდომის ოქმი.

¹¹⁹ ნაზი ჯანუაშვილი, ანა დოლიძე, ირმა გელაშვილი. იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 და 23 ივლისის სხდომის ოქმები.

¹²⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 23 ივლისის სხდომის ოქმი.

¹²¹ განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან გენდერული უთანასწორობისა და არაპირდაპირი დისკრიმინაციის პრაქტიკის თაობაზე, კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 25 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xtXjBI>, განახლებულია: 21.04.2020.

გასაუბრების პროცესის დაწყების წინა დღეს საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ კანდიდატებს არ დაუსვამდნენ შეკითხვებს, რომლებიც არა ანალიტიკურ და ღირებულებით, არამედ კონკრეტული მუხლის ფორმულირების დაზეპირების უნარებს ამოწმებდა. ეს შეთანხმება არაერთხელ დაირღვა, განსაკუთრებით, კრიტიკულად განწყობილი და არამოსამართლე კანდიდატების მიმართ.¹²²

გასაუბრების პროცესი ხშირად არაკონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა. არაერთხელ დაფიქსირდა კოლეგებისადმი არაკორექტული, არაეთიკური მიმართვა.¹²³

საბჭოს წევრებმა გასაუბრების პროცესის დასრულების შემდგომ კანდიდატები ქულებით შეაფასეს. 4 სექტემბერს კი, პარლამენტისთვის წარსადგენი სიის გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობამდე დაყვანის მიზნით, საბჭომ მეორე ფარული კენჭისყრა ჩაატარა და საუკეთესო შედეგის მქონე 20 პირი გამოავლინა.¹²⁴ კანონის თანახმად, შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კონკურსანტი, რამდენი ვაკანსიაც არის გამოცხადებული.¹²⁵ ქულების მიხედვით გამოვლენილი საუკეთესო შეფასების მქონე 20 კანდიდატის სია სრულად არ დაემთხვა კენჭისყრის შედეგებს.

1.16.3. მესამე კენჭისყრა

პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობამდე დაყვანის შემდეგ საბჭომ კონკურსანტებს სათითაოდ უყარა კენჭი. ყველა მათგანმა მიიღო ხმათა საჭი-

¹²² კოალიცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესს აფასებს, კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 12 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TD8q2S>, განახლებულია: 29.01.2020.

¹²³ იუსტიციის საბჭოს 30 ივლისის სხდომაზე, ნიკოლოზ მარსაგიშვილთან გასაუბრებისას, ირაკლი შენგელია ნაზი ჯანუშაშვილს: „რა უბედურებაა ასეთი არაკვალიფიციური კითხვების დასმა, როდემდე უნდა ვითმინოთ თქვენი ეს უმსგავსობა“, მოსამართლე წევრმა სერგო მეთოფიშვილმა კი დაამატა, რომ ნაზი იაფფასიანი კროსკორდებიდან აღებულ კითხვებს სვამდა. ასევე, 14 აგვისტოს სხდომაზე, მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილთან გასაუბრებისას, საბჭოს წევრმა სერგო მეთოფიშვილმა არამოსამართლე წევრ ანა დოლიძეს თავზედი და უვიცი უწოდა.

¹²⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 04 სექტემბრის სხდომის ოქმი.

¹²⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 34¹-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

რო რაოდენობა (2/3). ხაზგასმით ნეგატიურად უნდა შეფასდეს ნომინირებულ პრეტენდენტთა სიაში იმ მოსამართლეთა მოხვედრა, რომლებიც 2018 წლის დეკემბერში პარლამენტისთვის წარდგენილ 10 კაციან შემადგენლობაში შედიოდნენ.¹²⁶

1.16.4. პარლამენტისთვის ვასილ როინიშვილის კანდიდატურის წარდგენა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ვასილ როინიშვილს უფლებამოსილების ვადა დეკემბერში ეწურებოდა. ამიტომ, 18 სექტემბერს საბჭომ კონკურსი კიდევ ერთ ვაკანსიაზე გამოაცხადა და განცხადებების მიღების ბოლო ვადად 9 ოქტომბერი განსაზღვრა.¹²⁷ კონკურსში მონაწილეობა 16-მა პირმა მიიღო.¹²⁸ 17 ოქტომბრის სხდომაზე საბჭომ მათგან 15 კანდიდატი დაარეგისტრირა¹²⁹ (ერთს არ ჰქონდა წარმოდგენილი მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი¹³⁰). ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გამო უარი გასაჩივრდა საკვალიფიკაციო პალატაში, თუმცა არ დაკმაყოფილდა.¹³¹

¹²⁶ ეს კანდიდატები არიან: გიორგი მიქაუტაძე, მერაბ გაბინაშვილი, ნინო ქადაგიძე, პაატა სილაგაძე, თამარ ალანია.

¹²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა იწყება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 18 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ffl09V>, განახლებულია: 21.04.2020.

¹²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 17 ოქტომბრის №1/263 გადაწყვეტილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Sreb35>, განახლებულია: 21.04.2020.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ იქვე.

¹³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ესკ08-19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WYl0dX>, განახლებულია: 21.04.2020.

1.16.4.1. პირველი კენჭისყრა

31 ოქტომბერს ჩატარდა პირველი ფარდობითი ფარული კენჭისყრა. შემდეგ ეტაპზე 3 კანდიდატი გადავიდა.¹³²

1.16.4.2. გასაუბრება

საბჭო 27-28 ნოემბერს ლევან თევზაძეს, თამარ ოქროპირიძეს და ვასილ როინიშვილს გაესაუბრა.¹³³ გასაუბრებები თითოეულ კანდიდატთან 3-4 საათის განმავლობაში გაგრძელდა. 5 დეკემბერს საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა მათი ქულები კეთილსინდისიერებასა და კომპეტენციაში.¹³⁴

1.16.4.3. მეორე კენჭისყრა და კანდიდატის ნომინირება

6 დეკემბერს საბჭოში მეორე ფარული კენჭისყრა ჩატარდა. საკმარისი ხმები მოაგროვა ვასილ როინიშვილმა. პროცესში საბჭოს 13 წევრი მონაწილეობდა.¹³⁵ ირაკლი შენგელიას არ განუცხადებია აცილება ლევან თევზაძის მიმართ, ის საბჭოს სწდომებს, უბრალოდ, არ დასწრებია. საბოლოოდ, საბჭომ პარლამენტს ვასილ როინიშვილის კანდიდატურა წარუდგინა.

საია მიიჩნევს, რომ პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირების წესი არსებითად უნდა გადაიხედოს. I ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე, ქულებით უნდა შეფასდეს კანდიდატების შესაბამისობა მოსამართლეობის მინიმალურ სტანდარტთან. ამის თაო-

¹³² თევზაძე ლევან, ოქროპირიძე თამარ, როინიშვილი ვასილ, კენჭისყრის შედეგები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XpDhB7>, განახლებულია: 21.04.2020.

¹³³ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება იწყება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XpPAwb>, განახლებულია: 21.04.2020.

¹³⁴ კანდიდატთა ქულები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 05 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2AWpzOB>, განახლებულია: 21.04.2020.

¹³⁵ კენჭისყრის შედეგები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2019 წლის 06 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WXYeUM>, განახლებულია: 21.04.2020.

ბაზე დასაბუთებული გადაწყვეტილება საბჭომ ღია კენჭისყრაზე უნდა მიიღოს. II ეტაპზე გადასული კონკურსანტებიდან უზენაეს სასამართლოში ნომინირდება ის, ვინც ცალ-ცალკე მოიპოვებს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ს.

2. ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე მოსამართლეები

2.1. თავმჯდომარეების წევრობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

წლებია, სასამართლოების/პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეები საბჭოს ხელში მოსამართლეების გასაკონტროლებელ ინსტრუმენტებად განიხილებიან.¹³⁶ იმავდროულად, „კლანი“ უმეტესად სწორედ სასამართლოების თავმჯდომარეებისგან შედგება. მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფზე საუბარია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც, სადაც ხაზგასმულია მათი მხრიდან კრიტიკული აზრის ჩახშობის ტენდენცია და სასამართლოს გაძლიერების კუთხით არსებული ინიციატივების შეფერხება.¹³⁷

სასამართლოების თავმჯდომარეები, რომლებიც, იმავდროულად, იკავებენ საბჭოს წევრის თანამდებობას, ფაქტობრივად, ჩამოცილებულნი არიან სამოსამართლო საქმიანობას. საია მიიჩნევს, რომ საბჭოში თავმჯდომარეების კვოტა უნდა გაუქმდეს. წევრმა, რომელიც, მოსამართლის გარდა, სხვა თანამდებობასაც იკავებს, არჩევისთანავე უნდა დატოვოს იგი. გავლენის შესამცირებლად საბჭოს დაკომპლექტების მიმართულებით ასევე საჭიროა ისეთი ცვლილებები, როგორიცაა: რეგიონული, და გენდერული კვოტების დაწესება, მოსამართლე წევრთა საარჩევნო სისტემის გადახედვა.

2.2. თავმჯდომარის როლი

საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, საქმეებს თავმჯდომარე აღარ ანაწილებს,¹³⁸ თუმცა, პრობლემად რჩება სხვა ასპექტი – მა-

¹³⁶ მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, შეწყვიტოს სასამართლოებში თავმჯდომარეების დანიშვნასუბიექტური შეხედულების საფუძველზე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის 2018 წლის 26 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35e1M89>, განახლებულია: 18.04.2020.

¹³⁷ GEORGIA 2019 HUMAN RIGHTS REPORT, გვ. 13, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VRV6cD>, განახლებულია: 29.04.2020.

¹³⁸ საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის №1/56 გადაწყვეტილება, მე-3 მუხლი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ggqjVo>, განახლებულია: 13.05.2020.

რთლმსაჯულების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მას უფლება აქვს, მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა სხვა პალატასა ან საგამოძიებო კოლეგიაში, სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში, ასევე – მაგისტრატი მოსამართლეობა, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს – საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ.¹³⁹ საია მიიჩნევს, რომ ეს უფლებამოსილება თავმჯდომარემ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, რათა მანიპულაციების თაობაზე ყოველგვარი კითხვა გამოირიცხოს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, 2006 წლიდან დადგენილი პრაქტიკის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეებს თავმჯდომარე ანაწილებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოში ეს უფლება თავმჯდომარეს 2018 წლიდან მიენიჭა.¹⁴⁰ ამგვარი რეგულირება მანიპულირების რეალურ რისკებს წარმოშობს.¹⁴¹ საია მიიჩნევს, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა განაწილება წილისყრით უნდა ხდებოდეს.

2.3. სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევა

პირველ და მეორე ინსტანციაში სასამართლოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს.¹⁴² „კლანი“, აკონტროლებს რა საბჭოს, ამ მექანიზმს იყენებს თანამდებობაზე მისადმი ლოიალური პირების დასანიშნად და, მათი მეშვეობით, გავლენის შესანა-

¹³⁹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁴⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილება, მე-9 მუხლი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2TBquug>, განახლებულია: 27.04.2020.

¹⁴¹ კოალიციის მოსაზრებები სასამართლოს რეფორმის „მესამე ტალღასთან“ დაკავშირებით, კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2016 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ehI0g0>, განახლებულია: 19.04.2019.

¹⁴² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

რიზუნებლად.¹⁴³ ადმინისტრაციულ თანამდებობებს, როგორც წესი, ერთი და იგივე პირები იკავებენ.¹⁴⁴ საანგარიშო პერიოდში საბჭომ 6 სასამართლოს თავმჯდომარე განაწესა.¹⁴⁵ დანიშნულთაგან 5-ს სხვადასხვა დროს უკვე ეკავა ეს პოსტი სხვა სასამართლოში.

„მესამე ტალღის“ კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა თავმჯდომარის არჩევას მოსამართლეების მიერ.¹⁴⁶ მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიამ წარდგენილი ცვლილებები მოიწონა და აღნიშნა, რომ ეს გაზრდიდა ინდივიდუალურ მოსამართლეთა როლს,¹⁴⁷ საბოლოოდ, ხსენებული ნორმა პროექტიდან ამოიღეს.¹⁴⁸

¹⁴³ მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, შეწყვიტოს სასამართლოებში თავმჯდომარეების დანიშვნა სუბიექტური შეხედულების საფუძველზე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის 2018 წლის 26 თებერვლის განცხადება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2018 წლის 26 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xoEHTu>, განახლებულია: 18.04.2019.

¹⁴⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ განწესებული ნიკოლოზ მარსაგიშვილი 2008-2019 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ბიძინა სტურუა 2013-2019 წლებში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს თავმჯდომარეობდა. სიღნაღის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი ბუნრაშვილს 2012 წლიდან დაკისრებული ჰქონდა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება წლების განმავლობაში. ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ განწესებული დავით გელაშვილი წლების განმავლობაში იკავებდა წალკის, მესტიის, წალენჯიხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის პოსტს. გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე შალვა კაკაურიძე ასევე სხვადასხვა წლებში ასრულებდა სენაკისა და საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას.

¹⁴⁵ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №111/4744-03-ო წერილი.

¹⁴⁶ მოსაზრებები სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღასთან“ დაკავშირებით, კოალიციის ვებგვერდი, 2016 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XtEOPQ>, განახლებულია: 18.04.2019.

¹⁴⁷ JOINT OPINION OF THE VENICE COMMISSION AND THE DIRECTORATE OF HUMAN RIGHTS (DHR) OF THE DIRECTORATE GENERAL OF HUMAN RIGHTS AND RULE OF LAW (DGJ) OF THE COUNCIL OF EUROPE ON THE DRAFT LAW ON AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON GENERAL COURTS OF GEORGIA, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), CDL-AD(2014)031, Strasbourg, 14 October 2014, p. 84. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WYINLX>, განახლებულია: 15.03.2019.

¹⁴⁸ მართლმსაჯულების რეფორმა - მოსამართლეები დაგეგმილ ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან, ჟურნალი ტაბულა, 2015 წლის 18 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zOy51l>, განახლებულია: 10.02.2020.

მართლმსაჯულების რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ცვლილებებით დადგინდა, რომ თავმჯდომარის დანიშვნამდე საბჭო შესაბამისი სასამართლოს შემადგენლობასთან მართავს კონსულტაციებს, ხოლო ამის შემდეგ თანამდებობაზე პირის გასაწესებლად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.¹⁴⁹ ეს ჩანაწერი ვითარებას არსებითად არ ცვლის, რადგან კონსულტაციების შედეგები, მისივე ბუნების გათვალისწინებით, სავალდებულო ვერ იქნება.

2018 წელს შეცვლილი პრაქტიკის მიხედვით,¹⁵⁰ თავმჯდომარის ვაკანსიის არსებობისას, შესაბამისი განცხადება სასამართლოს შიდა ქსელში ქვეყნდებოდა. ამდენად, ყველა მოსამართლეს ჰქონდა შესაძლებლობა, საბჭოსთვის მიემართა.¹⁵¹ მიუხედავად ამისა, პროცესი, ძირითადად, არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობდა.

საანგარიშო პერიოდში საბჭომ შეცვალა მის მიერ დადგენილი გასაუბრების პრაქტიკა. ვაკანსიაზე მხოლოდ ერთი განაცხადის არსებობის შემთხვევაში გასაუბრებას არ ატარებდა და კანდიდატურა პირდაპირ კენჭისყრაზე ღებოდა. ასეთ პირობებში საბჭომ განაწესა ქუთაისის,¹⁵² მცხეთის,¹⁵³ გორის¹⁵⁴ და სიღნაღის¹⁵⁵ რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეები. საბჭოს არამოსამართლე წევრების¹⁵⁶ მხრიდან გასაუბრების საჭიროებაზე არაერთგზის მითითების მიუხედავად,¹⁵⁷ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასეთი მი-

¹⁴⁹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი და 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁵⁰ წინა წლებში კანდიდატებს საბჭოს წევრები ასახელებდნენ.

¹⁵¹ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 26 თებერვლისა და 02 აპრილის სხდომის ოქმები.

¹⁵² იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის სხდომის ოქმი.

¹⁵³ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისისა და 26 დეკემბრის სხდომის ოქმები.

¹⁵⁴ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმი.

¹⁵⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 26 დეკემბრისა და 15 აგვისტოს სხდომის ოქმები.

¹⁵⁶ იგულისხმებიან საბჭოს წევრები: ნაზი ჯანუშაშვილი, ირმა გელაშვილი და ანა დოლიძე.

¹⁵⁷ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმი.

დგომა შენარჩუნდა. დისკუსიის დროს მოსამართლე წევრები ხაზს უსვამდნენ კეთილ ნებას კანდიდატებთან გასაუბრების პრაქტიკის დადგენისას.

საია, მიიჩნევს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა უნდა განახლდეს და თავმჯდომარეები შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა თავად აირჩიონ.

2.4. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნა

კანონმდებლობით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, ამავე სასამართლოს მოსამართლეთაგან, 5 წლის ვადით ნიშნავს საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.¹⁵⁸ საანგარიშო პერიოდში თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ირაკლი შენგელია, რომელსაც წლების განმავლობაში სისტემაში მენეჯერული თანამდებობები ეკავა.¹⁵⁹

მოადგილის ძირითადი ფუნქცია თავმჯდომარის არყოფნის დროს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაა.¹⁶⁰ მოსამართლეთა შორის იერარქიის კიბის შესამცირებლად, აუცილებელია, გაუქმდეს მოადგილის თანამდებობა და, საჭიროების შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობა ერთ-ერთმა მოსამართლემ შეასრულოს.

2.5. კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარის (მოვალეობის შემსრულებლების) დანიშვნა

კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილებები. საია მიიჩნევს, რომ, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ეს თანამდებობები მოსამართლეთა შორის იერარქიული კიბის გასამყარებლად და გავლენიანი ჯგუფის

¹⁵⁸ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁵⁹ ირაკლი შენგელიას ავტობიოგრაფია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cYVwvg>, განახლებულია: 14.02.2020.

¹⁶⁰ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

მიერ მისადმი ლოიალურად განწყობილი პირების დასაჯილდოებლად შექმნილი. მათი ფუნქციური საჭიროება არ არსებობს, ამიტომ კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარის (მოვალეობის შემსრულებლის) პოზიცია უნდა გაუქმდეს.

საანგარიშო პერიოდში დაინიშნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული პალატისა და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეები.¹⁶¹ ამ პირებსაც, წლებია, მენეჯერული პოზიციები უკავიათ სასამართლო სისტემაში.

წინა წლების მსგავსად,¹⁶² საბჭომ მიმართა მანიპულაციებს და პალატის თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი) დაინიშნა არა მისივე შემადგენლობიდან, არამედ სასურველი პირი ჯერ გადმოიყვანა პალატაში და შემდეგ უკვე განაწესა თავმჯდომარედ. კერძოდ, ვასილ მშვენიერაძის სააპელაციო სასამართლოში დაწინაურების გამო, ვაკანტური გახდა როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს, ისე ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარის ადგილი. სხდომაზე საბჭომ მდივანმა დაასახელა სერგო მეთოფიშვილისა და ბიძინა სტურუას კანდიდატურები. იქამდე, 29 ნოემბერს, საბჭომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის თავმჯდომარე სერგო მეთოფიშვილს შეუცვალა სპეციალიზაცია, გადაიყვანა ადმინისტრაციულ კოლეგიაში და ახლა უკვე იქ დააკისრა თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება, ამასთან, ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარეობა მიანდო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე ბიძინა სტურუას, რომელიც მალევე მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ გადაინიშნა.

17 მაისის სხდომაზე საბჭომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის თავმჯდომარე მერაბ გაბინაშვილს სპეციალიზაცია შეუცვალა და, იმავდროულად, 24 მაისის სხდომაზე, საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეობა დაავალა, ამასთან, ადმი-

¹⁶¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №111/4744-03-ო წერილი.

¹⁶² ნოზაძე ნ; შერმადინი ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №6, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, გვ. 57, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2B1cQKw>, განახლებულია: 21.04.2020.

ნისტრაციული პალატის თავმჯდომარე ირაკლი შენგელია სამოქალაქო პალატის თავმჯდომარედ გადანიშნა.

15 აგვისტოს სხდომაზე საბჭომ ადმინისტრაციულ პალატაში გასაუბრების გარეშე დანიშნა მიხეილ ჩინჩალაძე. არამოსამართლე წევრები ანა დოლიძე და ნაზი ჯანუშაშვილი, დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, გასაუბრების ჩატარებას ითხოვდნენ. ამის მიუხედავად, საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ ეს პრაქტიკა არ იყო მყარი და, ვინაიდან მიხეილ ჩინჩალაძეს კონკურენტი არ ჰყავდა, ვერ ხედავდა მასთან გასაუბრების აუცილებლობას.

არც კანონით და არც საბჭოს გადაწყვეტილებით არ არის დარეგულირებული, რა შემთხვევაში ინიშნებიან მოვალეობის შემსრულებლები. ამ თანამდებობაზე მოსამართლის განწესებისას საბჭო არ განსაზღვრავს ვადას. იყო ფაქტები, როცა მოსამართლე თავმჯდომარის მოვალეობას წლების განმავლობაში ასრულებდა.¹⁶³

2.6. საბჭოს როლი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევისას

საბჭოს გააჩნია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან თავმჯდომარის წარდგინების უფლებამოსილება.¹⁶⁴ კანდიდატურას ასახელებს წევრთა არანაკლებ 1/5,¹⁶⁵ წარდგენას სჭირდება 2/3-ის მხარდაჭერა.¹⁶⁶ თუ ხმების ამ რაოდენობას ვერცერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს, გადაწყვეტილება აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება.¹⁶⁷ ამგვარი რეგულირება უპირისპირდება კონსენსუსის მოდელს. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად საკმარისი არ უნდა იყოს მხოლოდ მოსამართლე წევრთა ხმები. ამასთან, უმრავლესობას არ უნდა ჰქონდეს საბოლოო შედეგზე ზემოქმედების ბერკეტები. ამიტომ, თავმჯდომარის კანდიდატურის წარსადგენად საჭირო ხმების ოდენობა არ უნდა შემცირდეს, ხოლო, თუ ხმათა 2/3 ვერ გროვდება, საბჭომ ხელახლა უნდა დაიწყოს პროცედურები.

¹⁶³ იქვე, გვ. 58-59.

¹⁶⁴ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი.

¹⁶⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁶⁶ იქვე.

¹⁶⁷ იქვე.

3. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

3.1. დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევა-გათავისუფლება

დამოუკიდებელ ინსპექტორს, კონკურსის საფუძველზე, 5 წლის ვადით, აბსოლუტური უმრავლესობით ირჩევს საბჭო.¹⁶⁸ არჩევისთვის, თეორიულად, საკმარისია მხოლოდ მოსამართლე წევრების მხარდაჭერა, რაც არამოსამართლე წევრებს პროცესების მიღმა ტოვებს. ინსპექტორი იწყებს დისციპლინურ სამართალწარმოებას მოსამართლის მიმართ და საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას უზრუნველყოფს,¹⁶⁹ ამასთან, მას ევალება საბჭოს წევრების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განხილვა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნა, რათა ეს ინსტიტუტი საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობდეს. მხოლოდ მოსამართლე წევრების მიერ არჩევის შესაძლებლობა კი ინსპექტორის დამოუკიდებლობას მოწყვლადს ხდის. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, დანიშვნისთვის საჭირო ხმების ოდენობად 2/3 განისაზღვროს.

ინსპექტორის შერჩევის წესი¹⁷⁰ არ განსაზღვრავს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. არ არის დადგენილი კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები (ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა) და პროცედურები (შერჩევის კრიტერიუმები, გასაუბრების ჩატარების მიზანი და წესი, გასაუბრებაზე გამოსარკვევი საკითხები, კანდიდატის შეფასება და მისი დასაბუთება). აუცილებელია, საბჭომ გააუმჯობესოს ინსპექტორის შერჩევის წესი.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს „მეოთხე ტალღის“ ცვლილებები, რომლითაც გაუქმდა ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ისეთი ზოგადი საფუძვლები, როგორც იყო მოსამართლეთა უფლებების უხეში ან სისტემატური შელახვა, ასევე, მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება. გარდა ამისა, თანამდებობიდან მისი გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებას საბჭო, აბსოლუტური

¹⁶⁸ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 51¹-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶⁹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75⁶-ე მუხლი.

¹⁷⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 27²-ე მუხლი.

უმრავლესობის ნაცვლად, უკვე 2/3-ით იღებს.¹⁷¹

3.2. დისციპლინური საქმისწარმოება

„მეოთხე ტალღის“ ცვლილებებმა დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურებში გაითვალისწინა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც სამოქალაქო სექტორი, წლებია, ითხოვდა.¹⁷² კერძოდ:

- დადგინდა, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის.¹⁷³

თუმცა, ბუნდოვანია ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, გადაცდომას არ წარმოადგენს ქმედება, რომელსაც, მცირე მნიშვნელობის გამო, არ გამოუწვევია პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელი ზიანი, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.¹⁷⁴ ეს რეგულირება დიად ტოვებს კითხვას, როგორ უნდა განისაზღვროს, რომელი ზიანი ითხოვს პასუხისმგებლობის დაკისრებას და რომელი – არა. შესაბამისად, ჩანაწერი უნდა დაზუსტდეს.

- ბანგალორის პრინციპების¹⁷⁵ კვალდაკვალ, კანონით,¹⁷⁶ ქმედებები დაიყო კატეგორიებად, რომლებიც არღვევს: (1) დამოუკიდებლობის, (2) მიუკერძოებლობის, (3) კეთილსინდისიერების, (4) წესიერების, (5) თანასწორობის, (6) კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპებს, ასევე, (7) არ შეეფერება მოსა-

¹⁷¹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 51¹-ე მუხლის მე-2¹ პუნქტი.

¹⁷² კოალიციის საკანონმდებლო წინადადება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით, კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2018 წლის 02 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3esFEdB>, განახლებულია: 26.03.2020.

¹⁷³ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75¹-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁷⁴ იქვე, მე-3 პუნქტი.

¹⁷⁵ სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZwVoYu>, განახლებულია: 21.04.2020

¹⁷⁶ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75¹-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

მართლის სტატუსს. თითოეულის მიხედვით ჩამოყალიბდა დისციპლინური გადაცდომის სახეები. კანონში აღარ არის ისეთი ბუნდოვანი ჩანაწერები, როგორიცაა: „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა“ ან „არაჯეროვანი შესრულება“, აგრეთვე, გაუქმდა მითითება ეთიკის ნორმებზე.

- განისაზღვრა, რა შემთხვევაში ჩაითვლება საჩივარი ფორმის დაუცველად წარდგენილად, რა შემთხვევაში არ განიხილება და დაუბრუნდება მომჩივანს.¹⁷⁷

3.3. ინსპექტორის დასკვნები

მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს და საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას უზრუნველყოფს ინსპექტორი,¹⁷⁸ რომელიც დასკვნებსა და მოსაზრებებს საბჭოს წარუდგენს.¹⁷⁹ ამისთვის განსაზღვრულია 2 თვიანი ვადა, რომელიც, შესაძლოა, 2 კვირით გაგრძელდეს.¹⁸⁰ „მეოთხე ტალღის“ ცვლილებებით, ინსპექტორს მიეცა შესაძლებლობა, დასაბუთებული წინადადებით მიმართოს საბჭოს საქმის მასალების პროკურატურისთვის გადაცემის თაობაზე, თუ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევისას საქმეში დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება.¹⁸¹ მას ასევე მიენიჭა ელექტრონულ ბაზებზე წვდომის უფლება.¹⁸² გარდა ამისა, განისაზღვრა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ის ეყრდნობა „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტს.¹⁸³

ინსპექტორის სამსახურმა 2019 წელს ფორმის დაცვით 215 საჩივარი მიიღო, ხოლო ფორმის დაუცველად – 125 განცხადება. მან საბ-

¹⁷⁷ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^ე-ე მუხლის მე-3 პუნქტი. თუ საჩივარში მითითებული არ არის მოსამართლის ვინაობა, საქმე ან/და დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი, დგინდება ხარვეზი და აღმოსაფხვრელად განისაზღვრება არაუმეტეს 10 დღიანი ვადა.

¹⁷⁸ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^ე-ე მუხლი.

¹⁷⁹ იქვე.

¹⁸⁰ იქვე, 75⁷-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁸¹ იქვე, 75⁷-ე მუხლის 1²-ლი პუნქტი.

¹⁸² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^ე-ე მუხლი.

¹⁸³ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75⁷-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ჭოს განსახილველად გადასცა 43 საჩივარზე მომზადებული 41 დასკვნა.¹⁸⁴ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ დასკვნები შეეხებოდა 2018 წლის დისციპლინურ საჩივრებს.

3.4. საბჭოს გადაწყვეტილებები

ინსპექტორის მიერ საქმეზე დასკვნისა და მოსაზრების წარდგენის შემდეგ საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას („დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტით¹⁸⁵) დისციპლინური ღევის დაწყებისა და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ.¹⁸⁶ თუმცა, ღევის დაწყებაზე უარის შემთხვევაში მას ასეთი ვალდებულება არ ეკისრება. საანგარიშო პერიოდში კოალიციამ, ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაყრდნობით, საბჭოს მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებისკენ, ხოლო კანონმდებელს ამ პრობლემის კანონით მოგვარებისკენ მოუწოდა.¹⁸⁷

საბჭო დისციპლინური ღევის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას ხმათა 2/3-ით იღებს.¹⁸⁸ ეს მოთხოვნა ბევრ საქმეს განხილვის მიღმა ტოვებს. მიზანშეწონილია, შუალედური გადაწყვეტილებები მიიღებოდეს უბრალო უმრავლესობით და მხოლოდ საბოლოოს სჭირდებოდეს 2/3.

საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, შეუძლია, თავისი განსხვავებული აზრი წერილობით ჩამოაყალიბოს. 2019 წლის განმავლობაში არცერთ წევრს ამ უფლებით არ უსარგებლია.¹⁸⁹

¹⁸⁴ საქართველოს იუსტიციის უზენაესი საბჭოს 2020 წლის 06 იანვრის №8/4741-03-ო წერილი.

¹⁸⁵ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^ე-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁸⁶ იქვე, 75^ე-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁸⁷ დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის ვებგვერდი, 2019 წლის 11 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yyNliY>, განახლებულია: 21.04.2020.

¹⁸⁸ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 75^ე-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.


¹⁸⁹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 06 იანვრის №8/4741-03-ო წერილი.

დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა დევნის დაწყებისა და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე საბჭომ არ გაიზიარა 4 საქმეზე, ხოლო დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ – ერთ საქმეზე.¹⁹⁰

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საქმეებზე საბჭოს გადაწყვეტილებებში შეტანილი არ არის ინსპექტორის არგუმენტები გადაცდომის ნიშნების არსებობა-არარსებობის თაობაზე. მეტი გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, საბჭოს გადაწყვეტილება შეიცავდეს დამოუკიდებელი ინსპექტორის არგუმენტების შეფასებას.

საანგარიშო პერიოდში საბჭომ ჩაატარა მხოლოდ ორი სადისციპლინო სხდომა, რომელზეც განიხილა 43 საჩივარზე მომზადებული 41 დასკვნა და მიიღო 55 გადაწყვეტილება.¹⁹¹


ღიაგრამა №8-ზე ასახულია საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.




¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ იქვე.

დიაგრამა №9-ში¹⁹² აღწერილია, შეწყვეტილი დისციპლინური სამართალწარმოების საქმეებში რა წილი ჰქონდა გადაცდომების სხვადასხვა სახეს.



დიაგრამა №10¹⁹³ აჩვენებს 2019 წლის სტატისტიკას დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლების მიხედვით.



არსებული სტატისტიკა მიუთითებს, რომ, მიუხედავად საჩივრების სიმრავლისა, დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმები იშვიათად გამოიყენება (2019 წელს ასეთი სულ 4 შემთხვევა დაფიქ-

¹⁹² იქვე.


¹⁹³ საქართველოს იუსტიციის უზენაესი საბჭოს 2020 წლის 06 იანვრის №8/4741-03-ო წერილი.

სირდა). კვლავ პრობლემად რჩება საქმეთა განხილვის გაჭიანურება, დარღვეულია ვადები (2019 წელს შესული არცერთი დისციპლინური საჩივარი არ განხილულა).

დისციპლინურ სამართალწარმოებაში მნიშვნელოვანია საჩივრის დადგენილ ვადაში განხილვა, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია საზოგადოების მოლოდინთან, მეორე მხრივ კი – თვით მოსამართლის ინტერესთან, საქმე დროულად დასრულდეს. ამიტომ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს საჩივრის განხილვისთვის განსაზღვრული ვადების დაცვა.

საქმის გამოკვლევა უნდა დასრულდეს ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვეში. აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვადა 2 კვირით გაგრძელდეს.¹⁹⁴ თუ საბჭო გადაწყვეტს, მოსამართლეს ჩამოართვას ახსნა-განმარტება, სამართალწარმოება უნდა დამთავრდეს არაუმეტეს 5 თვეში, ხოლო ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გარეშე დევნის შეწყვეტის ან მისი დაწყების შემთხვევაში – 2 თვესა და 2 კვირაში. საბჭო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემისას ეყრდნობა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს.¹⁹⁵

დიაგრამა №11-ზე¹⁹⁶ ასახულია საბჭოს მიერ მოსამართლეების დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლები.



¹⁹⁴ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁹⁵ იქვე, 75¹⁴-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁹⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 06 იანვრის №8/4741-03-ო წერილი.

3.5. დისციპლინური საქმისწარმოების გამჭვირვალობა

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია.¹⁹⁷ ამის გათვალისწინებით, ინსპექტორის მიერ სტატისტიკის (საჩივრების რაოდენობა, გადაცდომის სახეები და სხვა) დროულად გამოქვეყნებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, საია ამ კუთხით ინსპექტორის ოპერატიულობას დადებითად აფასებს.

მოსამართლეს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, მიენიჭა უფლება, მოითხოვოს საბჭოს (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა), აგრეთვე, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის იმ სხდომების გასაჯაროება, რომლებზეც მისი საქმე განიხილება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, საანგარიშო პერიოდში ამ შესაძლებლობით არავის უსარგებლია.¹⁹⁸

კანონმდებლობით, დისციპლინური სამართალწარმოებისას მიღებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება საჩივრის (განცხადების) ავტორს და შესაბამის მოსამართლეს.¹⁹⁹ 2019 წლის განმავლობაში დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება 61 საჩივრის ავტორს გაეგზავნა.²⁰⁰

¹⁹⁷ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴-ე მუხლი.

¹⁹⁸ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 06 იანვრის №8/4741-03-ო წერილი.

¹⁹⁹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75⁴-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁰⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 06 იანვრის №8/4741-03-ო წერილი.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზება და გამჭვირვალობა

საბჭომ დაამკვიდრა სხდომაზე მისი საქმიანობის შესახებ მომზადებული ანგარიშების განხილვისა და მათზე საკუთარი შეხედულებების (პასუხების) ვებგვერდზე გამოქვეყნების პრაქტიკა, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ მონიტორინგის შედეგების მიმართ მიმდებლობა დაბალია.

წინ გადადგმული ნაბიჯია მართლმსაჯულების „მეოთხე ტალღის“ ცვლილებები, რომლითაც საბჭოს ორი სახის – ინდივიდუალური (განკარგულება) ან ნორმატიული (დადგენილება) აქტების მიღების უფლება განესაზღვრა.²⁰¹ განკარგულება უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.²⁰² პირს, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ეს დოკუმენტი, უფლება აქვს, განკარგულების მიღებამდე წარადგინოს წერილობითი მოსაზრება.²⁰³

4.1. სხდომების მომზადება

(1) რეგლამენტის მიხედვით, სხდომებს ამზადებს და წევრებისთვის მასალების დროულ მიწოდებას უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი,²⁰⁴ თუმცა არაფერია ნათქვამი, ვინ ადგენს და ამტკიცებს დღის წესრიგს. არ არის განსაზღვრული საბჭოს წევრის უფლება, მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება.

(2) იყო შემთხვევები, როცა საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტები სხდომის დღეს²⁰⁵ ან სხდომაზევე მიეწოდათ.²⁰⁶ მაგალითად, საბჭოს არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანუაშვილმა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბიუჯეტის განხილვისას გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ

²⁰¹ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-16¹ პუნქტი.

²⁰² იქვე, მე-16² პუნქტი.

²⁰³ იქვე.

²⁰⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 26 მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია, <https://bit.ly/3bVzXUw>, განახლებულია: 18.02.2020.

²⁰⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 06 მაისის სხდომის ოქმი.

²⁰⁶ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის სხდომის ოქმი.

პროექტი ვებგვერდზე სხდომის დაწყებამდე 5 წუთით ადრე აიტვირთა.²⁰⁷ პრობლემას წარმოშობს ის, რომ განსაზღვრული არ არის განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალების დარიგების ვადა.

(3) პრობლემას ქმნის ისიც, რომ საბჭოს წევრებს ავტომატურად არ ეგზავნებათ საბჭოში შესული დოკუმენტები. ეს მათ ხელს უშლის, საკუთარი შეხედულებისამებრ მოითხოვონ ამა თუ იმ საკითხის დღის წესრიგში შეტანა.

(4) აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე გადაიდო საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რაც არასათანადო ორგანიზებაზე მიუთითებს. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ან განსახილველი თემა საჭიროებდა უკეთ შესწავლასა და მომზადებას,²⁰⁸ ან დღის წესრიგით არაგონივრულად ბევრი საკითხი იყო გათვალისწინებული, რის გამოც ყველა მათგანზე მსჯელობა ვერ ესწრებოდა.²⁰⁹

(5) საბჭოში სწორი მენეჯმენტის პრობლემაზე მიუთითებდა რამდენიმე საათის დაგვიანებით დაწყებული სხდომებიც.

ამ გამოწვევების დასაძლევად, აუცილებელია, საბჭოს რეგლამენტმა გაითვალისწინოს: საბჭოს მდივნის მიერ სხვა წევრებისთვის იმ განცხადებებისა და პროექტების გადაცემის ბოლო ვადა, რომელთა განხილვაც უახლოეს სხდომაზე იგეგმება; წევრებისთვის საბჭოში შესული ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაცემის წესი; დღის წესრიგის შედგენის პროცედურები და მასზე პასუხისმგებელი პირი; საბჭოს წევრის უფლება, მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება (საბოლოო გადაწყვეტილება საბჭომ უმრავლესობით უნდა მიიღოს).

²⁰⁷ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის სხდომის ოქმი.

²⁰⁸ ამ მიზეზით საკითხების განხილვა გადაიდო. იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 06 დეკემბრის, 19 თებერვლის და 7 მაისის სხდომის ოქმები.

²⁰⁹ ამ მიზეზით საკითხების განხილვა გადაიდო 2019 წლის 09 ივლისის, 06 დეკემბრისა და 25 ოქტომბრის სხდომებზე. იხ. შესაბამისი ოქმები.

4.2. სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნება

სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღით“ დადგინდა საბჭოს ვალდებულება შეკრებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის გამოქვეყნების შესახებ.²¹⁰ საანგარიშო პერიოდში კანონის ეს მოთხოვნა მუდმივად ირღვეოდა. სხდომის შესახებ ცნობილი ხდებოდა მხოლოდ 1-3 დღით ადრე.²¹¹ ნახევარზე მეტჯერ ინფორმაცია 1 დღით ადრე, ერთ შემთხვევაში კი – იმავე დღეს დაიდო ვებგვერდზე.²¹² დღის წესრიგი, ძირითადად, ერთი დღით ადრე ქვეყნდებოდა,²¹³ რამდენჯერმე კი მასში ცვლილებები სხდომამდე რამდენიმე საათით ადრე შევიდა.²¹⁴ საბჭოს არგუმენტით, 7 დღიანი ვადის დაცვა სხდომების ინტენსივობის გამო ვერ ხერხდებოდა,²¹⁵ ამიტომ ის 3 დღემდე შემცირდა.²¹⁶ მნიშვნელოვანია, განახლებული ვადების პირობებში მაინც იმოქმედოს საბჭომ კანონმდებლობის დაცვით.

²¹⁰ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს ორგანული კანონის 1-ლი მუხლის, 26-ე პუნქტი, მიღების თარიღი: 08.02.2017.

²¹¹ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 14, 18, 25 თებერვლის, 19 დეკემბრის სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3esZ8hR>, განახლებულია: 18.02.2020.

²¹² იხ. 2019 წლის 23 სექტემბრის სხდომის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gvcjRc>, განახლებულია: 21.04.2020.

²¹³ იხ. 2019 წლის 06, 09, 17 მაისის, 07, 20, 25 ივნისის, 16, 19, ივლისის, 15 აგვისტოს სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gvcjRc>, განახლებულია: 21.04.2020.

²¹⁴ მაგ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 17 მაისის სხდომის ოქმს სხდომამდევე დაემატა საკითხი.

²¹⁵ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 25 იანვრის №218/127-03-ო წერილი.

²¹⁶ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

4.3. სხდომის დღის წესრიგის ფორმატი

სხდომების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება გულისხმობს განსახილველი თემების იმგვარ ფორმულირებას, რომ დაინტერესებულმა პირებმა წინასწარ იცოდნენ, კონკრეტულად რა შინაარსის გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს საბჭომ. ეს საკითხი წლების მანძილზე პრობლემას წარმოადგენდა, ამიტომ პოზიტიური სიახლეა 2018 წლიდან დადგენილი პრაქტიკა (ის 2019 წელსაც გაგრძელდა), რომელიც დღის წესრიგის განმარტებებით გამოქვეყნებას გულისხმობს.

4.4. გადაწყვეტილებების პროექტების გამოქვეყნება

ბოლო დრომდე პრობლემად რჩებოდა ნორმატიული აქტების წინასწარ გამოქვეყნება. 6 მაისის სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა უზენაეს სასამართლოში წარსადგენი კანდიდატების შერჩევაში მონაწილეობისთვის საჭირო განცხადების ფორმების დამტკიცების საკითხი, არამოსამართლე წევრმა ანა დოლიძემ, საზოგადოებაში არსებული ინტერესის გათვალისწინებით, მოითხოვა, პროექტი საჯაროდ დაედოთ ვებგვერდზე, ემსჯელათ და გადაწყვეტილება მომდევნო სხდომაზე მიეღოთ, მით უფრო, რომ დოკუმენტი საბჭოს წევრებისთვისაც სხდომის დღეს გახდა ხელმისაწვდომი. მოსამართლე წევრმა რევაზ ნადარაიამ საპასუხოდ განაცხადა, რომ, ტექნიკური დეტალები უზუსტობოდა და თემა „ზედმეტ დრამატიზებას“ არ საჭიროებდა. საბოლოოდ, საბჭომ საკითხს იმ დღესვე უყარა კენჭი. ამ ფონზე, დადებითად უნდა შეფასდეს „მეოთხე ტალღის“ ცვლილებები, რომელთა მიხედვით, ნორმატიული აქტის პროექტი განხილვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე უნდა გამოქვეყნდეს საბჭოს ვებგვერდზე.²¹⁷

4.5. სხდომის მართვა

სხდომაზე მოსაზრების გამოსათქმელად საბჭოს წევრი ვალდებულია, ანიშნოს სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც გამომსვლელთა რიგითობას ადგენს. რეგლამენტით არ არის დარეგულირებული, რა დრო ეთმობა საბჭოს თითოეულ წევრს პოზიციის დასაფიქსირებ-

²¹⁷ იქვე.

ლად, რამდენჯერ შეიძლება ერთსა და იმავე საკითხზე გამოსვლა და დამატებით რამდენი წუთი უნდა მიეცეს განცხადების გასაკეთებლად. ამიტომ, კონკრეტულ თემებზე ეფექტიანი და საქმიანი მსჯელობის წარმართვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, დეტალურად მოწესრიგდეს საბჭოს თითოეული წევრის მიერ საკითხზე აზრის გამოთქმის პროცედურა.

რეგლამენტით, ასევე, სათანადოდ არ არის დარეგულირებული გარეშე პირთა მოწვევისა და სხდომაზე დამსწრეთა მიერ მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა. ამგვარ ინიციატივას საბჭო, როგორც წესი, ნეგატიურად ხვდებოდა და არ აკმაყოფილებდა. საანგარიშო პერიოდში კვლავ არ შესრულდა რეკომენდაცია სხდომებზე დამსწრე პირების მხრიდან აზრის გამოთქმის წესის განსაზღვრის შესახებ.²¹⁸

4.6. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

გამჭვირვალობის კიდევ ერთი კომპონენტია საბჭოს სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა.

ოქმები წერილობით არ მზადდება. 2018 წლიდან გამოიყენება სპეციალური აუდიოსისტემა, რაც მისაღები პრაქტიკაა.

საბჭოს გადაწყვეტილებები საჯარო სივრცეში იღებოდა მიღებიდან 10-14 დღის შემდეგ. განსაკუთრებით პრობლემური იყო კოდიფიცირების საკითხი. ეს პრობლემა უკვე გადაიჭრა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ცვლილებების მიხედვით, გადაწყვეტილებები ოფიციალურ ვებგვერდზე უნდა აიტვირთოს მათი მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ხოლო კონსოლიდირებული ვერსიები – ცვლილებიდან არაუგვიანეს 14 დღისა.²¹⁹ წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ კანონმა დამატებით გაითვალისწინა გადაწყვეტი-

²¹⁸ ნოზაძე ნ; შერმაღინი ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქრთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, გვ. 68, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zqPX2X>, განახლებულია: 21.04.2020.

²¹⁹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლი.

ლებათა ჩამონათვალი, რომელიც ვებგვერდზე უნდა განთავსდეს.²²⁰

უნდა აღინიშნოს, რომ ხარვეზებით მუშაობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის საძიებო სისტემა, რაც ართულებს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა დოკუმენტების ძებნის პროცესს. რეკომენდებულია, საბჭომ დროულად იზრუნოს ამ პრობლემის აღმოფხვრაზე.

4.7. სხდომების გადალება და გაშუქება

წლებია, საია საბჭოს მიუთითებს მედიით სხდომების გაშუქების პრობლემაზე.²²¹ მედიასამუალებებს მხოლოდ სხდომის განხილვის ფოტოგადაღებისა და ვიდეო-აუდიო ჩაწერის შესაძლებლობა აქვთ.²²² „მეოთხე ტალღის“ ცვლილებების მიხედვით, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს სხდომის აუდიოჩანაწერი.²²³

საბჭოს მისაღებში განთავსებულია მონიტორი, რომლითაც სხდომები ტრანსლირდება. მეტი გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, საბჭოს სხდომები გადაიციმოდეს ონლაინ რეჟიმში, რაც ნებისმიერ პირს შესაძლებლობას მისცემს, თვალი ადევნოს სხდომათა მიმდინარეობის პროცესს, ხოლო მედიას – პროცედურული დაბრკოლებების გარეშე ისარგებლოს ამ ფორმატით.

²²⁰ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²²¹ ნოზაძე ნ; შერმაღინი ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №5, გვ. 23, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2X6J1k>; ანგარიში №6, გვ. 26-27, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2A8JB8d>; ანგარიში №7, გვ. 72-73, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zqPX2X>, განახლებულია: 21.04.2020.

²²² საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-11¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

²²³ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

4.8. სხდომების დახურვა

კანონის თანახმად, საბჭო ვალდებულია, სხდომები ღიად და საჯაროდ წარმართოს,²²⁴ ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, მისი დახურვის შესახებ გამოაცხადოს.²²⁵ როგორც საია წინა ანგარიშებშიც მიუთითებდა, არ არის განსაზღვრული სხდომის დახურვის საფუძვლები და პროცედურა,²²⁶ შესაბამისად, აუცილებელია, რომ ეს საკითხი დაზუსტდეს (დახურვის საფუძვლად იშვიათი და პატივსაღები მიზეზები უნდა დადგინდეს).

2019 წლის განმავლობაში სულ 44 სხდომა ჩატარდა, სადაც 369 გადაწყვეტილება მიიღეს. საბჭომ დახურულ რეჟიმში განიხილა 2 საკითხი,²²⁷ რომელიც მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა შერჩევას შეეხებოდა.

გარდა ამისა, სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე 2019 წლის იანვარში საბჭომ ისე შეარჩია, რომ ინფორმაცია კონკურსის პროცედურებისა და მსურველთა ვინაობის შესახებ ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა.²²⁸ ამ ფაქტის თაობაზე გასაუბრების შემდეგ გახდა ცნობილი.²²⁹ ამ პრობლემის გამოსასწორებლად ინ-

²²⁴ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლები.

²²⁵ იქვე.

²²⁶ ნოზაძე ნ; შერმადინი ო; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gpb5XQ>; ანგარიში №5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2X6J1k>; ანგარიში №6, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2A8JB8d>; ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zqPX2X>, განახლებულია: 21.04.2020.

²²⁷ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 03 თებერვლის №115/185-03-მ წერილები.

²²⁸ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმი. მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის დანიშვნას მხარი საბჭოს 10-მა წევრმა დაუჭირა.

²²⁹ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტის

ფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. გარდა ამისა, გასაუბრებები დახურულ ფორმატში ჩატარდა. მიზანშეწონილია, შეხვედრის დაწყებისას გაირკვეს კანდიდატის პოზიცია ამასთან დაკავშირებით და სხდომა მხოლოდ მისი უარის შემთხვევაში დაიხუროს.

4.9. გასაუბრებების პროცესის დიაომა

მოსამართლის თანამდებობაზე განწესების პროცედურა ითვალისწინებს გასაუბრების ეტაპს.²³⁰ მოსამართლეობის კანდიდატის უფლება, დახურულ ფორმატში წარმართოს გასაუბრება, დადგენილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.²³¹ მიუხედავად ამისა, გასულ წლებში ის ღია წესით ტარდებოდა. დროთა განმავლობაში საბჭომ ახალი პრაქტიკა დაამკვიდრა და პროცესის დაწყებამდე კონკურსანტს ეკითხება ფორმატის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატების მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ხოლო პროცესის გამჭვირვალობა არსებითია მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და სისტემისადმი ნდობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, მნიშვნელოვანია, გასაუბრებები საბჭოს ღია სხდომაზე ტარდებოდეს.

4.10. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის გაცემა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას საბჭომ უარი განაცხადა პრეტენდენტების მიერ წარდგენილი განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის გაცემაზე, პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით.²³² უარი ეფუძნებოდა კანონის ვიწრო განმარტებას, რომლის

თავმჯდომარეობის მსურველ კანდიდატებთან გასაუბრება გაიმართა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XRCwTr>, განახლებულია: 18.02.2020.

²³⁰ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36⁴-ე მუხლის მე-17 და მე-19 პუნქტები.

²³¹ მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 09 ოქტომბრის №308 გადაწყვეტილების მე-12⁷ მუხლის მე-2 პუნქტი.

²³² ღია საზოგადოება საქართველო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის

მიხედვითაც, პირი მხოლოდ პარლამენტისთვის ინფორმაციის გადაცემაზე აცხადებდა თანხმობას და არა – ზოგადად, გასაჯაროებაზე.²³³ სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ უარი დაუსაბუთებლად ზღუდავდა იმ მასალებზე ხელმისაწვდომობას, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პროცესის მონიტორინგისა და მის მიმართ ნდობის გაჩენისთვის.²³⁴ საბჭომ დოკუმენტების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ სახალხო დამცველისა და სახელმწიფო ინსპექტორის წარმომადგენელთა პოზიციების მოსმენის შემდეგ მიიღო.²³⁵ კანდიდატად რეგისტრირებული 137 პირის მიერ წარდგენილი განცხადებები და თანდართული დოკუმენტების ასლები გასაუბრების პროცესის დაწყებამდე 5 დღით ადრე გასაჯაროვდა, რაც არაგონივრულად მცირე დრო იყო მონაცემების დასამუშავებლად.

კანდიდატებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს, ღია საზოგადოების ფონდის ვებგვერდი, 2019 წლის 08 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aUcRMz>, განახლებულია: 20.03.2020.

²³³ იქვე.

²³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 2019 წლის 08 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gjHqiC>, განახლებულია: 21.04.2020.

²³⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის სხდომის ოქმი.

III. რეკომენდაციები

წინამდებარე მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საია მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლო სისტემის შექმნის გზაზე მნიშვნელოვანია ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინება.

შესაბამისმა ორგანოებმა ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის გზით უნდა უზრუნველყონ:

- კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის გასაუბრებიდან კენჭისყრის ეტაპზე გადასვლაზე უარის გასაჩივრების შესაძლებლობა;
- გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ გადანიშვნის პროცედურის გადახედვა (საბჭოს სხდომაზე უნდა გავიღეს დასაბუთებული გადაწყვეტილების პროექტი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. თუ წინადადება ვერ მოაგროვებს 6 ხმას, მოსამართლე გასაუბრებაზე უნდა დაიშვას);
- მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება ღია სხდომაზე;
- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების უფლებამოსილების სკოლისთვის მინიჭება, საბჭოს ნაცვლად;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირების წესის არსებითად გადახედვა. I ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე, ქულებით უნდა შეფასდეს კანდიდატების შესაბამისობა მოსამართლეობის მინიმალურ სტანდარტთან. ამის თაობაზე დასაბუთებული გადაწყვეტილება საბჭომ ღია კენჭისყრაზე უნდა მიიღოს. II ეტაპზე გადასული კონკურსანტებიდან უზენაეს სასამართლოში ნომინირდება ის, ვინც ცალ-ცალკე მოიპოვებს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ს;
- თავმჯდომარეების არჩევითობა (პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში);
- სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, ასევე, კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარეების (მათი მოვალეობის შემსრულებლების) ადმინისტრაციული პოზიციების გაუქმება;

- ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა წილისყრით განაწილება;
- უზენაესის სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის პროცედურის სრულყოფა. საჭირო ხმების ოდენობა პირველი წარმატებული კენჭისყრის შემდეგ არ უნდა შემცირდეს და, თუ 2/3 ვერ გროვდება, საბჭომ ხელახლა უნდა დაიწყოს პროცედურები;
- საბჭოში თავმჯდომარეების კვოტის გაუქმება. წევრმა, რომელიც, იმავდროულად, იკავებს მოსამართლის გარდა სხვა თანამდებობას, არჩევისთანავე უნდა დატოვოს იგი. საბჭოს დაკომპლექტების მიმართულებით ასევე საჭიროა ისეთი ცვლილებები, როგორიცაა რეგიონული და გენდერული კვოტები. უნდა შეიცვალოს მოსამართლე წევრების საარჩევნო სისტემა;
- ინსპექტორის დანიშნისთვის საჭირო ხმების ოდენობად 2/3-ის განსაზღვრა;
- დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის საკონკურსო წესის სრულყოფა: შერჩევის კრიტერიუმების, გასაუბრების ჩატარების წესის, კანდიდატის შეფასებისა და დასაბუთების წესების განსაზღვრა;
- დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი ინსპექტორის არგუმენტების შეფასებას;
- საბჭოს სხდომების დახურვის წესის სრულყოფა;
- საბჭოს წევრებისთვის საბჭოში შესული ნებისმიერი დოკუმენტის ასლის გადაცემის, მათი მხრიდან პოზიციის დაფიქსირების პროცედურის, სხდომის დღის წესრიგის შედგენის, იქიდან საკითხის ამოღებისა და დამატების, სხდომაზე შესამე პირების მოწვევისა და დამსწრეთა მიერ აზრის გამოთქმის წესების შემუშავება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირების იმპლემენტაციის სრულყოფისთვის უნდა უზრუნველყოს:

- ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებზე რეაგირება და მათი თავიდან აცილება;
- დისციპლინური საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი ინსპექტორის არგუმენტების შეფასება;
- დისციპლინური საჩივრების კანონით დადგენილ ვადებში განხილვა;
- სხდომების შესახებ ინფორმაციის წინასწარ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოქვეყნება;
- საბჭოს სხდომების ონლაინ რეჟიმში გადაცემა;
- დამოუკიდებელი ინსპექტორის, მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კანდიდატებთან გასაუბრებისას კანდიდატის პოზიციის გათვალისწინება და, შესაბამისად, სხდომის ღია ან დახურულ რეჟიმში ჩატარება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცესი.

მოსაზრებები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

მონიტორინგის ანგარიშთან დაკავშირებით

1. ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ გადანიშნვისას მოქმედი წესი ხარვეზიანია. მაგალითად, თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, 6 შემფასებლიდან 4 მიიჩნევს, რომ მოსამართლე ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, ასევე, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ვერ აღწევს 70%-ს, საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს სამართლებრივ აქტს უვადოდ განწესების მოთხოვნის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. საკითხი არ დგება კენჭისყრაზე. ეს წესი ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ რეგულირებას, რომლის თანახმად, მოსამართლედ კანდიდატის არდანიშნისთვის 6 პირის უარია საჭირო.

გასათვალისწინებელია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-13 პუნქტი ითვალისწინებს საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. აღნიშნული მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის განხილვის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დია კენჭისყ-

²³⁶ საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორმა 2020 წლის 16 ივლისს საბჭოს წევრებსა და დამოუკიდებელ ინსპექტორს კომენტარებისა და შენიშვნებისთვის გაუგზავნა წინამდებარე ანგარიშის სამუშაო ვერსია. წერილში საია მზადყოფნას გამოთქვამდა, განეხილა ადრესატთაგან მოწოდებული არგუმენტები და, გაზიარების შემთხვევაში, აესახა ისინი საბოლოო დოკუმენტში, ხოლო უარყოფილი შენიშვნები თან დაერთო მისთვის. ორგანიზაციამ პასუხი 2020 წლის 4 ივლისს მხოლოდ საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსისგან მიიღო. დოკუმენტი 20 პუნქტისგან შედგებოდა. საიამ 8 მათგანი გაიზიარა, დარჩენილი 12-დან 2 მოსაზრების (მე-10 და მე-20 პუნქტები) გათვალისწინებით კი დოკუმენტში ცვლილებები შეიტანა. ორგანიზაცია მადლობას უხდის მოსაზრებების ავტორებს განუული ძალისხმევით და, შეთანხმების თანახმად, უცვლელად აქვეყნებს მათ მიერ მოწოდებულ იმ შენიშვნებს, რომლებიც არ გაიზიარა.

რით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის გაუქმებისა და მოსამართლესთან გასაუბრების ჩატარების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანული კანონით დადგენილი გასაჩივრების მექანიზმი უზრუნველყოფს ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პრინციპის დაცვას.

2. ანგარიშში მითითებულია, რომ სამ წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოსამართლეების უვადოდ გადანიშნვისას არ საჯაროვდება მათი განცხადებების შემოსვლის თარიღი და ინფორმაცია საკითხის განხილვის ეტაპების შესახებ. არ არის დადგენილი გადაწყვეტილების მიღების ვადები.

აღნიშნული შეფასება არ შეესაბამება სინამდვილეს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13² მუხლი ადგენს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული იმ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების წესს, რომელსაც სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვს. მითითებული მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს, განხილვის თითოეულ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების ვადებს. ამასთან, უვადოდ დანიშნვის მოთხოვნის თაობაზე მოსამართლეთა განცხადებები ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ღია სხდომაზე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურები.

4. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ იმ კანდიდატებთან გასაუბრებაში, რომლებსაც მათ ვაკანსიაზე ჰქონდათ შეტანილი განაცხადი.

არსებული პრაქტიკის შესაბამისად, საბჭოს წევრები არ ესწრებიან იმ ვაკანსიაზე კანდიდატების გასაუბრებას, რომელ ვაკანსიაზეც თვითონ იღებენ კონკურსში მონაწილეობას. გასაუბრებაზე დასწრების შემთხვევაში ეს წევრები არ სარგებლობენ კითხვის დასმის უფლებით და ჩამოცილებულნი არიან გასაუბრების მიმდინარეობას.

7. ანგარიშში აღნიშნულია, რომ უზენაესი სასამართლოს კანდიდატების შერჩევის პროცედურისას საბჭო სათანადოდ არ დაინტერესდა და არ გამოიკვლია ზოგიერთი კანდიდატის, მათ შორის, მოქმედი გენერალური პროკურორის, შალვა თაღუმაძის

(რომელიც საბოლოოდ გახდა კიდეც მოსამართლე), ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, ზაზა თავაძის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ საბჭომ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, შეამოწმა ყველა კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ ისინი შეესაბამებოდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

8. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის შესახებ ანგარიშში მითითებულია, რომ მეორე კენჭისყრის დროს, ქულების მიხედვით გამოვლენილი საუკეთესო შეფასების მქონე 20 კანდიდატის სია სრულად არ დაემთხვა კენჭისყრის შედეგებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი ავსებს თითოეული მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფურცელს, ხოლო ამავე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭირს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თეორიულად შესაძლებელია საბჭოს წევრთა 2/3-ის მიერ მხარდაჭერილი რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობა არ იყოს საუკეთესო ქულების მქონე რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ქულაზე მეტი. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს არა ის, რომ საბჭოს წევრები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას არ არიან შებოჭილი მათ მიერ დაწერილი ქულებით, არამედ ის გარემოება, რომ იმ წევრთა მიერ დაწერილი ქულები, რომლებმაც კენჭისყრისას არ დაუჭირეს მხარი კანდიდატს, ძალიან დაბალია და მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს საბოლოო შეფასებაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ქულებით ხდება მხოლოდ კომპეტენტურობის კრიტერიუმის შეფასება, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას საბჭოს წევრი იღებს როგორც კომპეტენტურობის, ისე კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასების საფუძველზე.

10. ანგარიშის თანახმად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 4 მარტსა და 25 ნოემბერს 20-20 მსმენელი ჩარიცხა. ეს ციფრი ტრადიციად იქცა. გადაწყვეტილება ბლანკეტურად მიიღება.

იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის გამოცხადებისას იუსტიციის უმაღლესი სკოლა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აწვდის ინფორმაციას არსებული რესურსების ფარგლებში მსმენელთა იმ რაოდენობის თაობაზე, რომლის ჩარიცხვაც შესაძლებელია სკოლაში. ხსენებულ ორ შემთხვევაში ეს იყო 20 მსმენელი, რაც სკოლის რესურსებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით წარმოადგენს ერთ ჯგუფში ჩასარიცხ მსმენელთა შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას.

11. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საბჭო არც ვებგვერდზე აქვეყნებს და არც საჯარო ინფორმაციის სახით გასცემს იუსტიციის მსმენელთა კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს.

როგორც ანგარიშშივეა მითითებული, აღნიშნული გამოწვეულია კანონმდებლობიდან გამომდინარე კანდიდატთა პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით.

12. ანგარიშში მითითებულია, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა განაწილება წილისყრით უნდა ხდებოდეს, რადგან როგორც აღნიშნულია, ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა თავმჯდომარის მიერ განაწილება მანიპულირების რისკებს წარმოშობს.

გასათვალისწინებელია, რომ არსებული პრაქტიკით, მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციაში განაწილება ხდება შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთა ნების და მათი სპეციალიზაციის გათვალისწინებით, რაც გამორიცხავს ანგარიშში მითითებულ დასკვნას.

14. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მართლმსაჯულების რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ცვლილებებით დადგინდა, რომ თავმჯდომარის დანიშნამდე საბჭო შესაბამისი სასამართლოს შემადგენლობასთან მართავს კონსულტაციებს, ხოლო ამის შემდეგ თანამდებობაზე პირის გასაწესებლად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. ეს ჩანაწერი ვითარებას არსებითად არ ცვლის, რადგან კონსულტაციების შედეგები, მისივე ბუნების გათვალისწინებით, სავალდებულო ვერ იქნება.

აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. მოსამართლეებთან კონსულტაციები გასათვალისწინებელი იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გადაწყვეტილების მიღებისას. აღნიშნულის გარანტიას წარმოადგენს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის სავალდებულობა, სადაც გადმოცემული იქნება კონსულტაციების შედეგები და გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

15. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა შორის იერარქიის კიბის შესამცირებლად, აუცილებელია, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და, საჭიროების შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობა ერთ-ერთმა მოსამართლემ შეასრულოს.

მოადგილის თანამდებობის არსებობა და თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მიერ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება აპრობირებული წესია. ამასთან, მოადგილის ფუნქცია არ არის მხოლოდ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლით გაწერილია მოადგილის სხვა უფლებამოსილებებიც. შემოთავაზებული წინადადება, რომ გაუქმდეს მოადგილის თანამდებობა და თავმჯდომარის მოვალეობა ერთ-ერთმა მოსამართლემ შეასრულოს, მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებას, ამასთან, გაართულებს სასამართლოს მენეჯმენტს.

16. ანგარიშში აღნიშნულია, რომ კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილებები, რომ ეს თანამდებობები მოსამართლეთა შორის იერარქიული კიბის გასამყარებლად და გავლენიანი ჯგუფის მიერ მისაღმი ლოიალურად განწყობილი პირების დასაჯილდოებლად შექმნილი და მათი ფუნქციური საჭიროება არ არსებობს, ამიტომ კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარის (მოვალეობის შემსრულებლის) პოზიცია უნდა გაუქმდეს.

აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, ასევე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მოადგილის (თავმჯდომარის) მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი პალატის ან კოლეგიის თავმჯდომარე. გარდა ამისა, ორგანული კანონით განსაზღვრულია სასამართლოს თავმჯდომარეთა ფართო უფლებამოსი-

ლებები, რომლის განხორციელებაშიც შესაბამისი სპეციალიზაციების მიმართულებით სასამართლოს თავმჯდომარეს დახმარებას უწევენ შესაბამისი კოლეგიების თავმჯდომარეები.

20. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა საბჭოს სხდომების მედიის საშუალებით გაშუქების პრობლემების აღმოსაფხვრელად.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების გაშუქების პრობლემა არ აქვს არცერთ მედიასაშუალებას. პირიქით, საანგარიშო პერიოდში და ახლაც, კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესდა ვითარება მედიის მუშაობისთვის, შექმნილია კომფორტული გარემო და მაქსიმალურად დაზღვეულია რისკები, რომ ჟურნალისტების საქმიანობას რაიმე ტიპის დაბრკოლება არ შეექმნას. აქ იგულისხმება, მათ შორის, მედიის დროული ინფორმირება, საჭირო ინტერვიუების მოპოვება და ა.შ. დარწმუნებულები ვართ, აღნიშნული სტანდარტი შემჩნეული აქვს საიას დამკვირვებელს, რომელიც ესწრება სხდომებს და კარგად ხედავს მედიასთან დამოკიდებულებას. შესაბამისად, გვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ანგარიშში მოყვანილი ფრაზა, რაც სხდომის გაშუქების პრობლემაზე მიუთითებს, არის სუბიექტური შეფასება და ავტორმა არ იცის, ან არ აქვს კარგად გაცნობიერებული, მედიის პრიორიტეტები, მით უმეტეს ახალი ამბების მიმართულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონიტორინგის ანგარიშში სხდომების გაშუქების ნაწილი კომპეტენტურად შეფასდებოდა.

რაც შეეხება საბჭოს მისაღებში განთავსებულ მონიტორს, ვფიქრობთ, რომ ამასთან დაკავშირებითაც შეფასება, სამწუხაროდ, მიკერძოებულია. მოგეხსენებათ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი არის მოცულობით პატარა, საბჭოს წევრების გარდა კი სხდომას ესწრებიან დამკვირვებლები, ჟურნალისტები და ა.შ. ოპერატორები კადრების შემდეგ სხდომის მიმდინარეობას სწორედ მისაღებში განთავსებული მონიტორის საშუალებით იღებენ. ეს უზრუნველყოფს საბჭოსთვის, ასევე დამკვირვებლებისთვის საქმიანი სამუშაო პროცესის ხელმეწყობას, ასევე, მედიის ინტერესის დაკმაყოფილებას.

სხდომის აუდიო ჩანაწერი უმოკლეს ვადებში ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. შესაბამისად, არც მისი გაცემის პრობლემა არ დგას. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი და დაუსა-

ბუთებელია, რა იგულისხმება მედიის მუშაობის მიმართულებით პროცედურულ დარღვევებსა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მაღალი საჯარო ინტერესის არსებობისას უზრუნველყოფილი იყო საბჭოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია.